პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

№ 19 (5419) | ოთხშაბათი, 25 იანვარი 1939 წ. | ფასი 10 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დღეს გაზეთში:


საგაზაფხულო თესვას — ბოლშევიკური შეხვედრა! („პრავდის“ მოწინავე)

მგზნებარე რევოლუციონერი - ბოლშევიკი (მოწინავე)

მგზნებარე ბოლშევიკის ცხოვრება (მე-2 გვ.)

დაიდო ხელშეკრულება დონბასელებსა და ტყიბულელებს შორის (მე-3 გვ.)

გ. აბულაძე — ბრწყინვალე სპექტაკლი (მე-3 გვ.)

ა. ხოხლოვკინა — ალექსანდრე სერგეის-ძე დარგომიჟსკი (მე-4 გვ.).

უცხოეთში:

საფრანგეთის სახალხო ფრონტისა და ფრანგი ხალხის ინტერესების დასაცავად (1-ლი გვ.)

ლენინის დღეები საზღვარგარეთ (1-ლი გვ.)

საფრანგეთის დეპუტატთა პალატაში (მე-4 გვ.)

ნეგრინის მოწოდება (მე-4 გვ.)

ესპანეთის მთავრობის სხდომა (მე-4 გვ.).


# საგაზაფხულო თესვას — ბოლშევიკური შეხვედრა!

გამოვიდა რა უზბეკეთის, ყაზახეთისა და ყარა-კალპაკეთის მოწინავე კოლმეურნეთა და კოლმეურნე-ქალთა თათბირზე პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებთან ერთად 1935 წლის დეკემბერში, ამხანაგი მოლოტოვი ამბობდა:

„ჩვენ ახლა ყველაფერი გვაქვს იმისათვის, რომ უფრო სწრაფად ვიაროთ წინ, ვიდრე წინათ. ჩვენ ტყუილად კი არ გაგვივლია ახალი ცხოვრების მშენებლობის მრავალი სიძნელე. ჩვენში მთავარი უკვე აშენებულია მრეწველობაშიც და სოფლის მეურნეობაშიც. ახლა ჩვენ მხოლოდ ერთი რამ გვჭირდება: ვისწავლოთ უკეთ მუშაობა, მხარდამხარ მივყვეთ მოწინავეებს, არავინ დავტოვოთ ჩამორჩენილთა რიგებში, — და მაშინ ცხოვრების ვაუმჯობესების პირველი წარმატებებიდან ჩვენ ისეთ სიმაღლეზე ავალთ, რომელზედაც მშრომელებს წინათ ოცნებაც კი არ შეეძლოთ“.

მებამბე კოლმეურნეებმა მტკიცედ შეითვისეს ეს მითითება. განვლილი წელი ბრწყინვალე გამარჯვებით აღინიშნა: ჩვენი ქვეყნის წამყვანმა ბამბისმთესველმა რესპუბლიკამ — უზბეკეთმა — გადაჭარბებით შეასრულა ბამბის დამზადების გეგმა. დაახლოებით 2.500 კოლმეურნეობა და 12.000-ზე მეტი სტახანოვური რგოლი ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს მაღალი მოსავლის მიღებისათვის. ბამბის საშუალო მოსავალი რესპუბლიკაში აღემატება 15 ცენტნერს ჰექტარზე. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენი ბამბეულის მრეწველობა მეტ ნედლეულს მიიღებს და, მაშასადამე, მეტ ქსოვილს მოგვცემს.

უზბეკეთის შესანიშნავი წარმატებანი მიღწეულია ულმობელ ბრძოლაში ტროცკისტ-ბუხარინელი ბანდიტების, ფაშიზმის ბურჟუაზიულ-ნაციონალისტი აგენტების წინააღმდეგ, რომელნიც ცდილობდნენ ძირი გამოეთხარათ საბჭოთა კავშირის ამ უმნიშვნელოვანესი ბამბეული ბაზისათვის. მათი ცდები დამარცხდა, ეს ფაშისტი არამზადები მხილებულნი და მოსპობილნი არიან. უზბეკეთის სოციალისტური სასოფლო მეურნეობა ჰყვავის და მტკიცდება.

პარტიამ და მთავრობამ დამსახურებისამებრ აღნიშნეს უზბეკეთის სს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა მიღწევები. სოფლის მეურნეობაში მიღწეული შესანიშნავი წარმატებებისათვის და განსაკუთრებით ბამბის გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ა. წ. 21 იანვრის ბრძანებულებით 38 კაცი დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, 53 — „შრომის წითელი დროშის“ ორდენით, 62 — „საპატიო ნიშნის“ ორდენით, 87—მედალით „შრომითი მამაცობისათვის“ და 75 — მედალით „შრომითი წარჩინებისათვის“. მათ შორის არიან კოლმეურნეები და კოლმეურნე-ქალები, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები, ბრიგადირები, რგოლის ხელმძღვანელები, ტრაქტორისტები, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკები, აგრონომები, პარტიული, საბჭოთა და სამიწათმოქმედო ორგანოების ხელმძღვანელები.

საბჭოთა კავშირის ყველა ხალხი უზბეკეთის სს რესპუბლიკის მშრომელებთან ერთად სიამაყის გრძნობას განიცდის მაღალი ჯილდოსათვის.

ბამბის დარგში მოპოვებული მიღწევები ერთერთი უაღრესად მკაფიო დამამტკიცებელი საბუთია იმისა, რომ ჩვენი სოფლის მეურნეობა დიდი აღმავლობის ხანაში იმყოფება. მიმდინარე სასოფლო-სამეურნეო წელი ახალი გამარჯვებებით უნდა აღინიშნოს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოების ყველა დარგში.

კოლმეურნეები და კოლმეურნე-ქალები, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკები მომავალი საგაზაფხულო თესვისათვის ემზადებიან. ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება რესპუბლიკებსა, მხარეებსა, ოლქებსა, მტს-ებსა, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს შორის. კრასნოდარის მხარის, ბელორუსიის სს რესპუბლიკის, კიევისა და მთელი რიგი სხვა ოლქების სოფლის მეურნეობის სტახანოველთა თათბირებმა, რომლებიც ამ ცოტა ხნის წინათ შესდგა, გვიჩვენეს, რომ კოლმეურნენი აღგზნებულნი არიან სურვილით — იბრძოლონ თესვის სანიმუშოდ ჩატარებისათვის. უზბეკეთის მოწინავეთა მაგალითი გვაფრთოვანებს მაღალი და მტკიცე მოსავლისათვის საბრძოლველად. საქმე ახლა ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა და სამიწათმოქმედო ორგანოებზეა. მათზე, მათს უნარზე, რომ სათავეში ჩაუდგნენ სოციალისტურ შეჯიბრებას, ოპერატიულად უხელმძღვანელონ საგაზაფხულო თესვისათვის მზადებას, დამოკიდებულია სასოფლო-სამეურნეო წლის ამ უმნიშვნელოვანესი ეტაპის წარმატებით დამთავრება.

თვენახევრის შემდეგ სამხრეთი რაიონების კოლმეურნეობანი და საბჭოთა მეურნეობანი შეუდგებიან თესვას. ცოტა უფრო გვიან დაიწყება თესვა ჩვენი ქვეყნის დანარჩენ რაიონებშიც.

ამავე დროს გადამწყვეტი გარდატეხა ტრაქტორთა რემონტისა და თესლის მომზადების მიმდინარეობაში ჯერ კიდევ არ დაწყებულა. 15 იანვრისათვის მტს-ების ტრაქტორთა კაპიტალური რემონტის გეგმა შესრულებულია მხოლოდ 40 პროცენტით, მიმდინარე რემონტისა — 35 პროცენტით. დაბალია თესლის გაწმენდის ტემპები.

უდიდესი ნაკლოვანებანი თესვისათვის მზადებაში იმით აიხსნება, რომ ბევრი პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელი ჩამოშორდა სოფლის მეურნეობის საკითხებს, სერიოზულად და სისტემატურად არ მუშაობს ამ საკითხებზე.

ასეთმა ხელმძღვანელებმა ვერ გაიგეს დედაარსი საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მითითებისა სამეურნეო წვრილმანებისაგან პარტიული ორგანიზაციების განთავისუფლებისა და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გაძლიერების შესახებ. როგორც ცნობილია, ამ მითითების დედაარსი „მდგომარეობს არა იმაში, რომ ჩამოვშორდეთ სამეურნეო მუშაობას და სამეურნეო ხელმძღვანელობას, არამედ მხოლოდ იმაში, რომ აღარ დავუშვათ სამეურნეო ორგანოების, მათ შორის და განსაკუთრებით სამიწათმოქმედო ორგანოების, შეცვლისა და გაუპიროვნების პრაქტიკა ჩვენი პარტიული ორგანიზაციების მიერ. მაშასადამე, აუცილებელია შევითვისოთ სამეურნეო ორგანოებისადმი ბოლშევიკური ხელმძღვანელობის მეთოდი, რაც იმაში მდგომარეობს, რომ სისტემატურად დავეხმაროთ ამ ორგანოებს, სისტემატურად განვამტკიცოთ ისინი და ვუხელმძღვანელოთ მეურნეობას არა ამ ორგანოების გვერდის ავლით, არამედ მათი საშუალებით“ (სტალინი).

კუიბიშევის საოლქო პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელები რომ ამ ბოლშევიკურ წესს ასრულებდნენ, ისინი არ დაუშვებდნენ ისეთ მდგომარეობას, რომ ტრაქტორთა კაპიტალური რემონტის გეგმა 15 იანვრისათვის შესრულებულია მხოლოდ 26 პროცენტით და მიმდინარე რემონტისა — 27 პროცენტით.

ზოგიერთი პარტიული და საბჭოთა ორგანოს ჩამოშორება თესვისათვის მზადების ხელმძღვანელობისაგან იმის საფრთხეს ჰქმნის, რომ მტს-ების ერთი ნაწილი ტრაქტორების რემონტს დაამთავრებს ხვნის დროს, ხოლო ჯიშიანი თესლის გადაზიდვას მაშინ აწარმოებს, როცა ამინდი გზებს გააფუჭებს. ეს საზიანო პრაქტიკა არ უნდა იქნას დაშვებული! სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მუშაობის თვითეული ეტაპის წარმატებას სწყვეტს თავის დროზე და გულდასმით მომზადება. მომზადებისათვის სავსებით გამოყენებულ უნდა იქნას თესვის დაწყებამდე დარჩენილი თვითეული დღე, რათა 1939 წელს ბოლომდე ლიკვიდირებულ იქნას მოიერიშეობა და კამპანიურობა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოებაში.

სსრ კავშირის მიწსახკომმა მიმდინარე წელსაც ვერ შესძლო სამიწათმოქმედო ორგანოების ჯეროვნად ორგანიზება და მობილიზება საგაზაფხულო თესვის დროულად და სანიმუშოდ მომზადებისათვის. კერძოდ, არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა კოლმეურნეობებში სათესლე მასალის მომზადების მხრივ. სერიოზულ შიშს იწვევს სათესი მასალის ხარისხი. ოდესის ოლქში აქამდე გაწმენდილია თესლის მხოლოდ 60 პროცენტი. ნელი ტემპით მიმდინარეობს თესლის გაწმენდა როსტოვის ოლქში. სარატოვის ოლქში თესლის გაწმენდა და მისი სათეს კონდიციებამდე აყვანა შეუწყნარებლად გაჭიანურდა.

თესვისათვის მზადების არადამაკმაყოფილებელი მიმდინარეობის ფაქტიდან დასკვნა უნდა გამოიტანონ როგორც სსრ კავშირის მიწსახკომმა და მისმა ადგილობრივმა ორგანოებმა, ისე სამხარეო, საოლქო და სარაიონო პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმაც.

სამხრეთი რაიონები, რომელნიც პირველნი იწყებენ თესვას, ვალდებულნი არიან გვიჩვენონ ბოლშევიკური ორგანიზებულობის მაგალითი. მაგრამ თესვისათვის მზადება ამ რაიონებში ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. კრასნოდარის მხარეში ჯერჯერობით შეკეთებულია ტრაქტორების მხოლოდ ნახევარი. როსტოვის ოლქში არ არის შესრულებული თოვლშეკავების გეგმა, კაპიტალურად შეკეთებულია ტრაქტორების მხოლოდ 42 პროცენტი. ჭიანურდება ტრაქტორების რემონტი სამხრეთ-აღმოსავლეთის გვალვიან რაიონებშიც. ადგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა და სამიწათმოქმედო ორგანოებმა უნდა შეივნონ, რომ მათ მიერ გვალვის დაძლევის უნარს პარტია და მთავრობა შეაფასებენ არა დაპირებათა, არამედ კონკრეტულ საქმეთა მიხედვით.

ამინდის პირობებზე დამოუკიდებლად მაღალი და მტკიცე მოსავლის უზრუნველყოფა წარმოადგენს მთავარ ამოცანას, რომელიც დასმულია პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს მიერ სოფლის მეურნეობის მრავალმილიონიანი არმიის მუშაკების წინაშე.

გზა მაღალი მოსავლის მიღებისაკენ—ეს არის მაღალი აგროტექნიკის გამოყენება თვითეული კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის მინდვრებში, საკოლმეურნეო წარმოებაში მტს-ების მაორგანიზებელი როლის გაძლიერება, სოფლის მეურნეობის მიმართ ხელმძღვანელობის გაუმჯობესება. სტახანოვური მოძრაობა — ჩვენი გამარჯვებებისა და წარმატებების მძლავრი წყარო — სის სიღრმე-სიგანით განვითარება.

საგაზაფხულო თესვა უნდა ჩატარდეს იმ მოთხოვნების სრული შესაბამისობით, რომლებიც წამოყენებულია პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს მიერ. მინდვრის ყველა სამუშაოს ადრეული და შემჭიდროებული ვადები, ხვნის, თესვის, ფარცხვის მაღალი ხარისხი, მაღალი გაღივებისა და მოსავლიანობის რჩეული ჯიშიანი თესლის თესვა — აი ის ძირითადი პირობები, რომლებიც ყველგან მტკიცედ უნდა იქნას დაცული.

უპასუხებენ რა პარტიისა და მთავრობის სტალინურ ზრუნვაზე საკოლმეურნეო წყობილების აყვავებისათვის, სოციალისტური მიწათმოქმედების მუშაკები სანიმუშოდ ჩაატარებენ საგაზაფხულო თესვას, ახალ წარმატებებს მიაღწევენ მაღალი, მტკიცე მოსავლის მოპოვებაში, მთლიანად განახორციელებენ სტალინურ ლოზუნგს წელიწადში 7-8 მილიარდი ფუთი პურის მოყვანის შესახებ.

**„პრავდის“ მოწინავე, 24/I.**

# საფრანგეთის სახალხო ფრონტისა და ფრანგი ხალხის ინტერესების დასაცავად

## კომპარტიის ნაციონალური კონფერენცია

**პარიზი**, 22 იანვარი (საკდესი). გუშინ დილით პარიზის გარეუბანში გაიხსნა საფრანგეთის კომპარტიის ნაციონალური კონფერენცია. კონფერენციას ესწრება 750 დელეგატი. კონფერენციის პრეზიდიუმში აირჩიეს ტორეზი, კაშენი, დიუკლო, რამეტი, მონმუსო, კლამამიუსი და პარტიის სხვა ხელმძღვანელი მოღვაწენი. კონფერენციას ესწრებიან რესპუბლიკური ესპანეთის წარმომადგენლები. მთელი დარბაზის ტაშის გრიალით ესპანეთის დელეგაცია აირჩიეს კონფერენციის პრეზიდიუმში. ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი მორის ტორეზი აქვეყნებს მისალმებას, რომელიც კონფერენციამ რომენ როლანისაგან მიიღო.

მონმუსო აქვეყნებს კონფერენციის მიერ ინგლისის კომპარტიისაგან მიღებულ მისალმებას.

საღამოს სხდომაზე ვრცელი მოხსენებით საფრანგეთის საგარეო და საშინაო პოლიტიკის საკითხების შესახებ გამოვიდა კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი მორის ტორეზი.

ესპანეთში მიმდინარე ომი,—განაცხადა ტორეზმა,—ისეთ ფაქტორს წარმოადგენს, რომელიც განსაზღვრავს საფრანგეთის საგარეო პოლიტიკის ყველა პრობლემას. თვით საფრანგეთის მომავალი ამ ომის შედეგზე არის დამოკიდებული.

კომპარტია პირველ დღიდანვე ამხილებდა „ჩაურევლობის“ პოლიტიკას და იბრძოდა მის წინააღმდეგ. ახლა ამ პოზიციისაკენ სულ უფრო და უფრო იხრებიან საფრანგეთის მთელი რიგი პოლიტიკური ორგანიზაციები. ტორეზი მიესალმება სოციალისტური პარტიის ბელადს ლეონ ბლიუმს, რომელმაც ამ ცოტა ხნის წინათ აშკარად აღიარა ესპანეთის საქმეებში „ჩაურევლობის“ პოლიტიკის მცდარობა.

ტორეზი მკაცრად აკრიტიკებს საფრანგეთის მთავრობის საგარეო პოლიტიკას, რომელიც იწვევს საფრანგეთის იზოლაციას და ინგლისისაგან მისი დამოკიდებულების გაძლიერებას. საფრანგეთ - ინგლისის ერთიანობა, — აღნიშნავს შემდეგ ტორეზი, — საფრანგეთის საგარეო პოლიტიკის აუცილებელ ელემენტს წარმოადგენს. მაგრამ ეს ერთიანობა ორივე მხარის თანასწორუფლებიანობას უნდა ემყარებოდეს, და საფრანგეთს ინგლისის დომინიონის როლი არ უნდა ეთმობოდეს.

შემდეგ ტორეზმა განაცხადა, რომ კომპარტია გადაჭრით მოითხოვს საფრანგეთ-ესპანეთის საზღვრის დაუყოვნებლივ გახსნას და ესპანელი ხალხისათვის სურსათისა და იარაღის მიწოდებას. ტორეზმა აღნიშნა, რომ საფრანგეთის ხალხის ერთიანობის განმტკიცების აუცილებელ პირობას წარმოადგენს ტროცკისტებისა და ყველა იმათი დაუზოგავად მხილება, ვინც თავის ამოცანად ისახავს განხეთქილება შეიტანოს საფრანგეთის დემოკრატიის რიგებში.

○

**პარიზი**, 23 იანვარი (საკდესი). საფრანგეთის კომუნისტური პარტიის კონფერენციის დილის სხდომამ 22 იანვარს სწარმოებდა კამათი საშინაო და საგარეო პოლიტიკის საკითხებზე.

ელზასის დელეგატმა თავის სიტყვაში ილაპარაკა იმ შეშფოთებაზე, რომელსაც ელზასის მოსახლეობა განიცდის მიუნხენის პოლიტიკის შედეგად გაძლიერებულ ომის საფრთხესთან დაკავშირებით. გერმანელი ფაშისტები, — სთქვა დელეგატმა, — ალვირახსნილ ანტიფრანგულ პროპაგანდას ეწევიან ელზასში.

რენოს ქარხნების კომუნისტური ორგანიზაციის დელეგატმა აღნიშნა, რომ რენოს ქარხნების ადმინისტრაციამ 30 ნოემბრის გაფიცვის შემდეგ 2.500 მუშა დაითხოვა.

მარსელ კაშენმა თავის გამოსვლაში ილაპარაკა ესპანეთში შექმნილი მდგომარეობის შესახებ.

„ჩვენ უფლება არა გვაქვს, — ამბობს კაშენი, — თუნდაც ერთი წუთით დავმშვიდდეთ მანამდე, სანამ დახმარებას არ მიიღებს რესპუბლიკური ესპანეთი“.

შემდეგ გამოვიდა ჟაკ დიუკლო, რომელმაც დაწვრილებით გააცნო კონფერენციას ნაციონალური გაჯანსაღების პროგრამა, კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ თავის უკანასკნელ სხდომაზე მიღებული. ამ პროგრამის ძირითადი მოთხოვნებია: დალადიერის საგანგებო დეკრეტების გაუქმება, მუშათა კლასის სოციალურ მონაპოვართა შენარჩუნება და გაფართოება, მოხუცებული მშრომელებისათვის პენსიების დანიშვნა, მრავალწევრიანი ოჯახებისათვის ხელშეწყობა, ბავშვთა დაცვა; საგადასახადო დაბეგვრის დემოკრატიული რეფორმა და კაპიტალის გატანის აკრძალვა; სახელმწიფო მონოპოლიების ნაციონალიზაცია, სადაზღვევო საქმის ნაციონალიზაცია, ბანკებისათვის კონტროლის გაწევა.

შემდეგ დიუკლო მთავრობის საფინანსო პოლიტიკაზე გადადის და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ეს პოლიტიკა სახალხო ფრონტის პროგრამას ეწინააღმდეგება. საჭიროა ბრძოლის გაჩაღება იმის წინააღმდეგ, რომ კაპიტალისტებმა თავი არ აარიდონ გადასახადთა გაღებას. დიუკლო მოითხოვს ფართო საზოგადოებრივ სამუშაოთა პროგრამის განსახორციელებლად, მსხვილი კაპიტალისტების საგანგებო დაბეგვრას და ფრანკის დევალვაციის დროს სპეკულანტების მიერ მიღებული მოგების კონფისკაციას.

ნასადილევს შემდგარ სხდომაზე კომპარტიის კონფერენციას მიესალმა საქვეყნოდ ცნობილი მეცნიერი, უდიდესი ფიზიკოსი, პროფესორი ლანჟევენი.

ესპანეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით კონფერენციას მიესალმა ესპანეთის კორტესების (პარლამენტის) დეპუტატი მარგარიტა ნელკენი. ნელკენმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა სასწრაფო დახმარება აღმოეჩინოს ესპანეთის მთავრობას, რათა გადარჩენილ იქნას ესპანეთი და ამით საფრანგეთიც.

კონფერენციამ დელეგაციას,—კაშენის, გასტონის, მონმუსოს, გაბრიელ პერის და სხვათა შემადგენლობით, დაავალა მოსთხოვოს მშვიდობიანობისათვის მოძრაობის ნაციონალურ კომიტეტს—სასწრაფოდ მოაწყოს პალატის იმ 318 დეპუტატის კრება, რომლებმაც მხარი დაუჭირეს რესპუბლიკურ ესპანეთს, რათა განხილულ იქნას ღონისძიებანი, რომელთა მიღებაც საჭიროა ესპანეთში შექმნილი მდგომარეობის გამო. კონფერენციამ დაადგინა აგრეთვე წინადადება მისცეს სოციალისტურ პარტიას, რადიკალების პარტიას, „სოციალისტურ და რესპუბლიკურ კავშირს“, შრომის საყოველთაო კონფედერაციას, „ადამიანის უფლებათა ლიგას“ და „მშვიდობიანობისა და თავისუფლებისათვის მოძრაობის“ კომიტეტს დაუყოვნებლივ მოაწყონ მიტინგებისა და სახალხო დემონსტრაციების ერთიანი ფართო კამპანია რესპუბლიკური ესპანეთის სასარგებლოდ.

○

საფრანგეთის კომპარტიის რიგებში ითვლება 319.252 კაცი. კომპარტიის ცენტრალური ორგანო „ლუმანიტეს“ თავისი ტირაჟით მესამე ადგილი უკავია საფრანგეთის ყველა გაზეთს შორის. მისი ყოველდღიური ტირაჟი 400-დან 500 ათასამდე ეგზემპლარს უდრის. გარდა „ლუმანიტესი“, კომუნისტური პარტია სცემს 68 პროვინციულ გაზეთს და სხვადასხვა ჟურნალს. ამ გამოცემათა საერთო ტირაჟი 500 ათას ეგზემპლარს უდრის.

საფრანგეთის კომკავშირს დაახლოებით 70 ათასი წევრი ჰყავს.



ვ. ვ. კუიბიშევი

# მგზნებარე რევოლუციონერი - ბოლშევიკი

გულის ტკივილს გრძნობ, როდესაც იგონებ, რომ დიდი სტალინის უახლოეს თანამებრძოლთა შორის აღარ არის ლენინური გვარდიის თვალსაჩინო წარმომადგენელი, მგზნებარე რევოლუციონერ-ბოლშევიკი ამხანაგი ვალერიან ვლადიმირის-ძე კუიბიშევი.

4 წლის წინათ პირსისხლიანი ფაშიზმის მრავალგზის საზიზღარ ჯაშუშ-ტერორისტთა ხროვის მიერ მუხანათურად იქნა მოკლული ბოლშევიკების პარტიის ეს გამოჩენილი მოღვაწე სოციალისტური მშენებლობის მეტად ნიჭიერი ორგანიზატორი.

ვერაგმა მტერმა კარგად იცოდა, თუ რას წარმოადგენდა ვ. კუიბიშევი პარტიისათვის, სოციალიზმის ქვეყნისათვის, რამდენად ძვირფასი იყო იგი საბჭოთა ხალხისათვის, როგორ თავდადებულად იბრძოდა ლენინ-სტალინის საქმისათვის.

სწორედ ამიტომ მიმართა მტერმა მოშხამული იარაღი ამ შეუდრეკელი და მგზნებარე ბოლშევიკის წინააღმდეგ. სწორედ ამიტომ განუგმირეს მტრებმა გული რევოლუციის მგზნებარე ტრიბუნს სერგეი კიროვს და ამხანაგებს გორკისა და მენჟინსკის.

ამხანაგი კუიბიშევი უდიდესი სიყვარულითა და პოპულარობით სარგებლობდა პარტიაში, პარტიულ და არაპარტიულ ბოლშევიკთა ფართო მასებში, როგორც ლენინურ-სტალინური ტიპის თვალსაჩინო სახელმწიფო მოღვაწე, როგორც უაღრესად გულისხმიერი და სპეტაკი რევოლუციონერი-ბოლშევიკი.

სოციალისტური მშენებლობის უაღრესად პასუხსაგებ უბნებზე, რომლებზედაც მას პარტია აგზავნიდა, ამხანაგი კუიბიშევი დაუშრეტელ ენერგიას და უდიდეს ინიციატივას იჩენდა. ცოცხალი იყო მისი გონება... შეუდრეკელი იყო მისი ნებისყოფა.

ჯერ კიდევ ცარიზმის ბატონობის წლებში ჭაბუკი რევოლუციონერი კუიბიშევი ვერ გასტეხა რვაჯერ დაპატიმრებამ, სამჯერ გასამართლებამ, ოთხჯერ გადასახლებამ.

17-18 წლის ახალგაზრდა, ის ღრმად იყო დარწმუნებული რევოლუციის აუცილებელ გამარჯვებაში. ამიტომაც ასეთი ჯანსაღი ოპტიმიზმით იყო აღსავსე მისი წერილები გადასახლებიდან დედისადმი, ამხანაგებისადმი.

„ვერც ბორკილმა, ვერც ბნელმა და ნესტიანმა საკანმა, ვერც გაწამების წლებმა“ ვერ შეარყიეს ეს შეუდრეკელი მებრძოლი. მეფის ოხრანკის დევნა და შევიწროვება უფრო მეტ აღმაფრენას ჰმატებდა ამხანაგ ვ. კუიბიშევს, უფრო აღაგზნებდა მას მომავალი გადამწყვეტი ბრძოლებისათვის.

სამოქალაქო ომის სუსხიან დღეებში, როცა ჩვენი ნორჩი რესპუბლიკა მტრების რკალში იყო, ამხ. ვ. კუიბიშევი ფრუნზესთან ერთად იბრძოდა და ანადგურებდა თეთრგვარდიელთა ბანდების ხროვას აღმოსავლეთის ფრონტზე. ის ბოლშევიკური შეუპოვრობით იბრძოდა სერგეი კიროვთან ერთად ასტრახანის დასაცავად.

კონტრრევოლუციურ ტროცკიზმთან გამწვავებული ბრძოლის პერიოდში ამხ. კუიბიშევი ხელმძღვანელობდა ცენტრალურ საკონტროლო კომისიას და აქაც უდიდესი ენერგიით და ლენინურ-სტალინური შეურიგებლობით იბრძოდა პარტიის მტრების წინააღმდეგ, ბოლშევიკური პარტიის რიგების მონოლიტური მთლიანობისათვის, ლენინიზმის იდეური სიწმინდისათვის.

სახალხო მეურნეობის აღდგენის წლებში ამხანაგი კუიბიშევი სოციალისტური მშენებლობის ერთერთი უდიდესი ორგანიზატორია. მეთაურობს რა სოციალისტური მეურნეობის დაგეგმვის საქმეს, ის ხელმძღვანელობს პირველი და მეორე სტალინური ხუთწლედების შედგენას. ჩვენი ქვეყნის უდიდესი გიგანტების დაპროექტების საქმეს.

დიადი გზა, რომელიც განვლო ბოლშევიკური პარტიის ამ საამაყო შვილმა, ნათელი და სპეტაკია, ნათელია მთელი მისი კრისტალური და ფაქიზი ცხოვრებაც.

ეს ცხოვრება, ცხოვრება შესანიშნავი ბოლშევიკისა, მარადიულად დარჩება, როგორც საუცხოო მაგალითი ახალგაზრდა ბოლშევიკთა აღზრდისათვის. ვ. კუიბიშევის საამაყო სახელთან იქნება დაკავშირებული წარმოდგენა იმ ადამიანზე, იმ ბოლშევიკზე, რომელმაც თავისი სიცოცხლის 30 წელზე მეტი შესწირა მუშათა კლასის საქმეს.

სოციალიზმის ქვეყანა, დიადი საბჭოთა ხალხი არასოდეს არ დაივიწყებს ამ შესანიშნავი ადამიანის, შეუდრეკელი ბოლშევიკის მომხიბლავ სახეს.

„ჩვენ ვცხოვრობთ ისეთ დროში, როდესაც ნამდვილი პროლეტარული რევოლუციონერების ცხოვრებისა და ბრძოლის მკაფიო მაგალითები წარმოადგენენ მძლავრ წინწამყვან მამოძრავებლებს მილიონიანი მასებისათვის, რომლებიც აშენებენ ახალ ცხოვრებას, რომლის მოპოვებასაც კუიბიშევმა და კიროვმა შესწირეს ყველაფერი, რაც კი გააჩნდათ“. (ვ. მოლოტოვი).

საბჭოთა მრავალმილიონიანი ხალხი გულში ატარებს იმ ადამიანის სახელს, რომელმაც მთელი თავისი მჩქეფარე სიცოცხლე კომუნიზმის საქმეს შესწირა.

ამხანაგ კუიბიშევის გამოკვეთილი სახე, სახე იმ მებრძოლი ბოლშევიკისა, რომელიც იწოდა სამუშაოზე, მარადიული ჩაუქრობელი შუქით იქნება გასხივოსნებული.

# ლენინის დღეები საზღვარგარეთ

## ესპანეთის პრესა ლენინის შესახებ

**ბარსელონა**, 21 იანვარი (საკდესი). „ფრენტე როხო“ მთელ რიგ სტატიებს უძღვნის ლენინის გარდაცვალების წლისთავს. სარედაქციო სტატიაში გაზეთი სწერს: „მილიონობით ადამიანები იგონებენ დღეს ლენინს—უკვდავ ბელადს, დიდ მასწავლებელს, მუშათა კლასის საქმისათვის მებრძოლს. თავის ერთგულ თანამებრძოლ სტალინთან ერთად, დიად კომუნისტურ პარტიასთან ერთად ლენინმა განახორციელა მარქსისა და ენგელსის მოძღვრება დედამიწის ერთ მეექვსედ ნაწილზე და მთელს კაცობრიობას უჩვენა ახალი ცხოვრების გზა. ესპანელი კომუნისტები — განთავისუფლებისა და მშვიდობიანობის იმ დიდი არმიის ჯარისკაცები, რომელიც ლენინმა შექმნა, ინარჩუნებენ მის მოძღვრებას, როგორც უდიდეს საგანძურს. ჩვენ ვიბრძვით იმისათვის, რომ ჩვენი საყვარელი სამშობლო, მთელი თავისი სიმდიდრით, ესპანეთის შვილებს ეკუთვნოდეს. ჩვენ ვაწარმოებთ ომს ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის, ომს, რომელსაც ლენინი სამართლიან ომს უწოდებდა. ლენინის სახელი და მისი ხსოვნა უძნელეს წუთში აღგვაფრთოვანებენ საბრძოლველად და გვაძლევენ გამარჯვების რწმენას“.

საყოველთაო მუშათა კავშირის ორგანო — გაზეთი „ნოტისიასი“ სწერს: „კაცობრიობის სასარგებლოდ არავის არ გაუკეთებია იმდენი, რამდენიც ლენინმა გააკეთა. მას ვერავინ შეედრება. მარქსისა და ენგელსის მეორე დიდმა მოწაფემ—სტალინმა მოახდინა ყოველივე იმის რეალიზაცია, რისკენაც ლენინი მიისწრაფოდა. ლენინის მტრები ჩვენი მტრები არიან. ადრე თუ გვიან ლენინის იდეები მთელს მსოფლიოში გაიმარჯვებენ“.

## გრანდიოზული მიტინგი პარიზში

**პარიზი**, 21 იანვარი (საკდესი). პარიზში — „მიუტიუალიტეს“ სასახლეში გაიმართა ლენინის ხსოვნისადმი მიძღვნილი გრანდიოზული მიტინგი. მიტინგზე გამოვიდა მარსელ კაშენი, რომელმაც აღწერა ლენინის ცხოვრება და მოღვაწეობა. მან აღნიშნა, რომ საერთაშორისო პროლეტარიატის ხსოვნაში სამარადისოდ დარჩება კაცობრიობის უდიდესი გენიოსის ლენინის სახელი და იგი განუხრელად დაიცავს მის უკვდავ მოძღვრებას. როდესაც კაშენმა ახსენა ლენინის ღირსეული მემკვიდრე, მისი საქმის განმგრძობი — სტალინი, შეკრებილნი ამას მქუხარე ოვაციით შეხვდნენ.

## მიტინგი ფილადელფიაში

**ნიუ-იორკი**, 23 იანვარი (საკდესი). ფილადელფიაში შესდგა ვ. ი. ლენინის გარდაცვალების 15 წლისთავისადმი მიძღვნილი დიდი მიტინგი. მიტინგზე სიტყვა წარმოსთქვა ამერიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ბრაუდერმა.

# ჩვენი ქვეყანა აღნიშნავს დიდი ლენინის ხსოვნას

ჩვენმა დიდმა ქვეყანამ კიდითკიდემდე აღნიშნა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის გარდაცვალების თხუთმეტი წლისთავი.

21 იანვარს საბჭოთა კავშირის დედაქალაქში — მოსკოვში შესდგა ცენტრალური და მოსკოვის ორგანიზაციების სამგლოვიარო სხდომა: მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის ქარხნებში, ფაბრიკებში, კოლმეურნეობებში, წითელარმიელთა ნაწილებში, სკოლებსა და დაწესებულებებში ჩატარდა მოხსენებანი და საუბრები დიდი ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ, სოციალიზმის ქვეყნის წარმატებათა შესახებ, იმ ქვეყნის, რომელიც ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით ლენინური გზით განუხრელად მიდის წინ.

ბევრად გადიდდა მოსკოვის მუზეუმების დათვალიერება ლენინის დღეებში. ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმი 22 იანვარს დაათვალიერა 10.750 კაცმა, ხოლო 23 იანვარს დღის 3 საათამდე—4.000 კაცმა. რევოლუციის მუზეუმის ლენინის სპეციალური დარბაზი, რომელიც 21 იანვარს გაიხსნა, უკვე ათასზე მეტმა კაცმა დაათვალიერა. აღნიშნულ დღეებში დაახლოებით 3.000 კაცმა დაათვალიერა ა. მ. გორკის მუზეუმის განყოფილება „ლენინი და გორკი“.

ლენინგრადის კულტურის სასახლეებში, ლენინის ოთახებში, საწარმოების, წითელარმიელთა ერთეულების კლუბებში, ბალტიკის გემებზე ჩატარდა ვ. ი. ლენინის ხსოვნისადმი მიძღვნილი კრებები. 21 იანვარს ოპერისა და ბალეტის ს. მ. კიროვის სახელობის სახელმწიფო თეატრში შესდგა სხდომა, რომელზედაც შეიკრიბნენ ლენინგრადის პარტიული, საბჭოთა და პროფკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენელნი, სტახანოველები, მეცნიერები, მხატვრები და მწერლები. 2 ათასამდე კაცი შეიკრიბა 22 იანვარს ლენინის კარავთან რაზლივში.

კიევში 21 იანვარს უკრაინის სსრ ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსან სახელმწიფო თეატრში შესდგა პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციების აქტივის და წითელი არმიის წარმომადგენელთა სამგლოვიარო კრება.

ვ. ი. ლენინის ხსოვნისადმი მიძღვნილი კრებები და მიტინგები გაიმართა ჩვენი დიადი სამშობლოს ყველა ქალაქსა და სოფლებში.

# უზბეკეთის სს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა დაჯილდოება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით უზბეკეთის სს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის 315 მოწინავე დაჯილდოებულია სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით.

სოფლის მეურნეობაში მიღწეული შესანიშნავი წარმატებებისათვის და განსაკუთრებით ბამბის გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის 38 კაცი დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, 53—„შრომის წითელი დროშის“ ორდენით, 62—„საპატიო ნიშნის“ ორდენით, 87—მედალით „შრომითი მამაცობისათვის“ და 75 —მედალით „შრომითი წარჩინებისათვის“.

ლენინის ორდენით დაჯილდოებულთა შორის არიან: სამარყანდის ოლქის ურგუთის მტს-ის ტრაქტორისტი ამხ. ჯალილ აზიზოვი, რომელმაც ნორმით დაწესებული 600 ჰექტარის ნაცვლად სეზონის განმავლობაში 745 ჰექტარი მოხნა და 1580 კილოგრამი საწვავი მასალა მოიზოგა, ფერგანის ოლქის სტალინის პირველი მტს-ის ტრაქტორისტი ქალი — ბრიგადის მექანიკოსი ამხ. ილხონ ბატიროვა, უზბეკეთის სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხ. იულდაშ ახუნ ბაბაევი, უზბეკეთის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. უსმან იუსუპოვი, ტაშკენტის ოლქის მირზაჩულის რაიონის კოლმეურნეობა „ბიდარჩის“ მცდელი კოლმეურნე ამხ. ბეგმატ ნურმატოვი, რომელმაც ჰექტარზე 77 ცენტნერი ბამბის მოსავალი აიღო, სამარყანდის ოლქის კატაკურგანის პირველი მტს-ის ტრაქტორისტ - კომბაინერი ამხ. აჩილ გადაევი, რომელმაც „სტზ“ ტრაქტორით 2.310 ჰექტარი მოხნა და კომბაინით აიღო 350 ჰექტარი მარცვლეული, ნორმით გათვალისწინებული 180 ჰექტარის ნაცვლად. (საკდესი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვ. ი. ლენინის გარდაცვალების 15 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამოები

## სოხუმი

21 იანვარს აფხაზეთის სახელმწიფო თეატრში ჩატარდა სოხუმის ქალაქის საბჭოს პლენუმის საზეიმო-სამგლოვიარო სხდომა პარტიული, კომკავშირული და პროფესიული ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად, მიძღვნილი ლენინის გარდაცვალების 15 წლისთავისადმი.

ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე ამხ. ვ. ტრაპაიძე.

საზეიმო - სამგლოვიარო სხდომამ მისალმების დეპეშა გაუგზავნა ლენინის საქმის ღირსეულ ვანმგრძობს — ამხანაგ სტალინს.

**გ. მერკვილაძე**

## ფოთი

ლენინის დღეების აღსანიშნავად ფოთის ყველა საწარმო-დაწესებულებებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში 20 და 21 იანვარს ჩატარდა მოხსენებები — ლენინის მოღვაწეობის შესახებ. პარტგანათლების სახლში მოეწყო გამოფენა ლენინის შრომებისა, რომელზედაც წარმოდგენილი იყო ლენინის პორტრეტები, ხელნაწერების ფოტო-ასლები და სხვ.

21 იანვარს ამხანაგ ლ. პ. ბერიას სახელობის თეატრში შესდგა ქალაქის საბჭოს პლენუმის სამგლოვიარო სხდომა პარტიული, კომკავშირული და პროფესიული ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად, მიძღვნილი ლენინის ხსოვნისადმი.

19, 20 და 21 იანვარს ყველა საწარმო - დაწესებულებებში აგიტატორებმა ჩაატარეს საუბრები ლენინის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ.

**ზ. მელიქია**

## სიღნაღი

21 იანვარს რაიონის წარმოება-დაწესებულებებში, კოლმეურნეობებში და საბჭოთა მეურნეობებში ჩატარდა ვ. ი. ლენინის ხსოვნისადმი მიძღვნილი მიტინგები და საუბრები.

საღამოს სიღნაღის საკოლმეურნეო თეატრში შესდგა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის გარდაცვალების 15 წლისთავისადმი მიძღვნილი სიღნაღის ქალაქის საბჭოს სამგლოვიარო პლენუმი.

პლენუმს 500-ზე მეტი კაცი დაესწრო.

„15 წელი ულენინოდ, ლენინური გზით, სტალინის ხელმძღვანელობით“ მოხსენებით გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის წარმომადგენელი ამხ. ლ. კალანდაძე.

მოგონებით გამოვიდა ძველი ბოლშევიკი ამხ. დავით ლაგაზიძე. (საქდესი).

## ქობულეთი

21 იანვარს ხუცუბნის საკოლმეურნეო კლუბში შესდგა ვ. ი. ლენინის ხსოვნისადმი მიძღვნილი სამგლოვიარო საღამო.

ლენინის სახელობის კოლმეურნეობასთან არსებულმა მომღერალთა გუნდმა ამხ. კუპრაძის ხელმძღვანელობით საღამოს დასასრულს შეასრულა სამგლოვიარო ჰიმნი. დამსწრეთ ფეხზე ადგომით პატივი სცეს ლენინის ხსოვნას.

ვ. ი. ლენინის ხსოვნის აღსანიშნავად 21 იანვარს ხუცუბანში მოხდა ლენინის ძეგლის გახსნა. (საქდესი).

## ალბულაღი

**თეთრი წყარო**, 24 იანვარი (საქდესი). ალბულაღში შესდგა ვ. ი. ლენინის გარდაცვალების თხუთმეტი წლისთავისადმი მიძღვნილი სამგლოვიარო მიტინგი. ამ დღისათვის შეფარდებული იყო ლენინის ძეგლის გახსნა.

— დავდოთ ფიცი, რომ ჩვენ მომავალშიც განუხრელად გავატარებთ ცხოვრებაში ლენინის ანდერძს, რომ ჩვენ კიდევ უფრო კარგად ვიმუშავებთ და შევასრულებთ მთავრობისა და ლენინ-სტალინის პარტიის ყველა დავალებებს, — სთქვა მიტინგზე საქ. კ. პ. (ბ) ალბულაღის რაიკომის მდივანმა ამხ. კოქლაძემ. მიტინგზე მგრძნობიარე სიტყვებით გამოვიდნენ ალბულაღის რაიონის კოლმეურნეობებისა და ინტელიგენციის წარმომადგენლები.

## ყინულმჭრელ „სედოვის“ დრეიფი

**ყინულმჭრელ „სედოვის“ გემბანი**, 23 იანვარი (საქდესი). გუშინ ყინულმჭრელ „სედოვის“ დრეიფის რაიონში მოწმენდილი ამინდი იყო, ჰქროდა სუსტი სამხრეთ - აღმოსავლეთის ქარი. ტემპერატურა—მინუს 34 გრადუსი.

დღეს ღამით ადგილი ჰქონდა ყინულის უმნიშვნელო მოძრაობას. გემის გასწვრივ და ცხვირთან ყინული ალაგ-ალაგ გაიბზარა. გემზე ყველაფერი რიგზეა.

**ნ. ბეკასოვი**

# ფართოდ გავშალოთ სოციალისტური შეჯიბრება სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის უფლებისათვის

## ბათუმის რაიონის კოლმეურნეობები ჩაებნენ სოცშეჯიბრებაში

(აჭარა, „კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტისაგან)

სოფლსაბჭოების, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების, ბრიგადირების, მოანგარიშეების, სტახანოველთა, კოლმეურნეების და აგრონომების რაიონული თათბირი, რომელიც 18 იანვარს მოიწვია საქ. კ. პ. (ბ) ბათუმის რაიკომმა, გულდასმით გაეცნო „კომუნისტის“ 16 იანვრის ნომერში გამოქვეყნებულ ქობულეთის, მახარაძის, გალის, ზუგდიდის, გორის, სტალინირის, სიღნაღისა და გურჯაანის მოწინავე კოლმეურნეობათა კოლმეურნეების მიმართვას სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის უფლების მოპოვებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ.

თათბირზე სიტყვებით გამოსულმა ამხანაგებმა — სოფ. ყოროლისთავის ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ა. ბრუნჯაძემ, სოფ. ერგეს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ შ. ქავთარაძემ, სოფ. ახალშენის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ კ. ქერიდიმ, ორთაბათუმის უბნის აგრონომმა ყ. გუჯაბიძემ, სოფ. ორთაბათუმის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ მ. მაჭუტაძემ, სოფ. ურეკის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ხ. ვარშანიძემ, კრუპსკაიას სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ხ. ხარდაროლლიმ, კალინინის სახელობის კოლმეურნეობის სტახანოველმა ბრიგადირმა ხ. ქსანდინიდიმ ერთსულოვნად მოიწონეს მიმართვა. მათ იკისრეს ვალდებულება კოლმეურნეობებში ფართოდ გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება მიმდინარე წლის საწარმოო მაჩვენებლების დროულად და მაღალხარისხოვნად შესრულებისათვის, საუკეთესოდ მოემზადონ სასოფლო - სამეურნეო გამოფენისათვის.

თათბირზე სიტყვით გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) ბათუმის რაიკომის მდივანი ამხ. ვ. დვალი, რომელმაც თათბირის მონაწილეთა ყურადღება გაამახვილა გამოფენაში ბათუმის რაიონის კოლმეურნეობების მონაწილეობის უფლების მოპოვების მნიშვნელობაზე და მოუწოდა მათ საქმით იბრძოლონ ნაკისრ ვალდებულებათა პირნათლად შესრულებისათვის.

**კ. დოგორჯგინიძე**

## ჩემი ვალდებულებანი

(ზოოტექნიკოსის წერილი)

საქართველოს მოწინავე კოლმეურნეობათა კოლმეურნეების წინადადებას გამოფენისათვის საუკეთესოდ მზადებაზე სოციალისტური შეჯიბრების მოწყობის შესახებ აღფრთოვანებით გამოეხმაურნენ დუშეთის რაიონის კოლმეურნეობა „შრომის დროშის“ წევრები, რომლებმაც მთელი რიგი კონკრეტული ვალდებულებანი იკისრეს.

მე, როგორც ამავე კოლმეურნეობის ზოოტექნიკოსი, ვღებულობ ვალდებულებას ყოველმხრივ დავეხმარო კოლმეურნეებს საკოლმეურნეო სასოქონლო ფერმაში მყოფი 72 სული ძროხის საუკეთესოდ გამოზამთრებასა და მთლიანად შენარჩუნებაში; ფერმაში შრომის სწორად მოწყობით, აღრიცხვის კარგად დაყენებით, პირუტყვის რაციონალური კვებით უზრუნველვყო წლის განმავლობაში ყოველი ძროხისაგან საშუალოდ 1500-1600, ხოლო ცალკეული ეკზემპლარებისაგან 2.000 ლიტრი რძის მიღება.

**ი. ყველაიძე**

## სოცშეჯიბრება გაიშალა

**ზესტაფონი**, 24 იანვარი (საკ. კორ.). მეორე სვირის ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში განიხილეს ქობულეთის, მახარაძის, გალის, ზუგდიდის, სტალინირის, სიღნაღისა და გურჯაანის რაიონების მოწინავე კოლმეურნეობათა კოლმეურნეების მიმართვა სრულიად - საკავშირო სასოფლო - სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის უფლების მოპოვებისათვის სოციალისტური შეჯიბრების მოწყობის შესახებ.

საერთო კრებაზე კოლმეურნეებმა დავით ბოჭორიშვილმა, გრიგოლ, დავით და შალვა ფხაკაძეებმა იკისრეს ვალდებულებანი ახალი წარმატებებით შეხვდნენ გამოფენას.

ამ კოლმეურნეობამ შარშან მაღალი მოსავლისათვის ბრძოლაში საუკეთესო შედეგებს მიაღწია. თვითეულ ჰექტარზე აქ საშუალოდ 84 ცენტნერი ყურძენი მიიღეს, ვენახს საუკეთესოდ მოუარეს, კოლმეურნეობა წარდგენილია გამოფენის კანდიდატად.

კოლმეურნეთა საერთო კრებამ აიღო ვალდებულება ფართოდ გაშალონ სტახანოვური მოძრაობა, სანიმუშოდ მოემზადონ თესვისათვის და წელს თვითეულ ჰექტარზე მიიღონ საშუალოდ 85 ცენტნერი ყურძენი, 18 ცენტნერი სიმინდი, ახალნაშენი ვაზი გაახარონ 100 პროცენტით, ნამყენი ვაზიდან პირველი ხარისხისა გამოიყვანონ 70 პროცენტი. ამ ვალდებულებათა შესრულების მიზნით მეორე სვირის ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა სოცშეჯიბრებაში გამოიწვიეს რაიონის ყველა კოლმეურნეობა და მოწოდებით მიმართეს მათ.

**ვ. გოგიაშვილი**

## დიდი პატივი დიდ მოვალეობასაც მეაკისრებს

(ახალგაზრდა ნატურალისტის წერილი)

სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენისათვის, რომელიც მიმდინარე წელს უნდა გაიხსნას, ენერგიულად ვემზადები, ვცდილობ გამოფენაში მონაწილეობა მივიღო საუკეთესო ექსპონატებით, ყველა ღონისძიებას ვხმარობ, რათა კიდევ უფრო უკეთესი შედეგები მოვცეს იმ ექსპონატებმა, რომლებიც ჩემს მიერ არის მიღებული.

მე სუფსის საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოწაფე ვარ, კომკავშირელი. ჩვენი სკოლის დირექცია და კომკავშირის ორგანიზაცია ყოველნაირად მეხმარებიან და ხელს მიწყობენ, რომ მონაწილეობა მივიღო საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში.

გამოფენაზე წარვადგენ: გრეიპფრუტს, ლიმონს, მანდარინს, ფეიხოას, პეკანს და ნაყოფგამოსხმულ სხვა სუბტროპიკულ მცენარეებს.

საგამოფენო კომიტეტისაგან ხშირად ვღებულობდი და ვღებულობ საჭირო მითითებებს. ამ დღეებში მივიღე აგრეთვე ცნობა, რომ შერჩეული ვარ გამოფენის კანდიდატად.

ეს დიდი პატივია ჩემთვის. ყოველივე ეს მავალებს ვიმუშაო კიდევ უფრო ენერგიულად და ნაყოფიერად შემდგომი წარმატებების მიღწევისათვის.

**ჭიჭიკო მითაიშვილი**
ლანჩხუთის რაიონის სოფ. სუფსის საშუალო სკოლის მოწაფე.

## ტრაქტორების რემონტი

საქ. მიწსახკომის 20 იანვრის ცნობებით

| მტს-ები და მათი დირექტორები | შესაკეთებელია სულ | შეკეთებულია ფაქტიურად | გეგმის შესრულება პროცენტობით |
|---|---|---|---|
| ახალქალაქის—გ. სიმონიანი | 40 | 36 | 90 |
| ბოგდანოვკის—სტ. კრასნიკოვი | 33 | 18 | 54,5 |
| ახალციხის—გ. აივაზოვი | 26 | 26 | 100 |
| აგარის—ალ. მიქაძე | 63 | 65 | 103,2 |
| ოსიაურის—კ. კუცია | 51 | 35 | 68,6 |
| გორის—ერ. მუკაშიანი | 78 | 61 | 78,2 |
| კასპის—ბ. ფარჩელაშვილი | 27 | 28 | 103,7 |
| ახალსოფლის—კ. აბალაკი | 58 | 48 | 82,8 |
| სტალინირის—შ. ალბოროვი | 24 | 15 | 63 |
| წეროვნის—კ. ქაჯაია | 38 | 27 | 71,1 |
| თბილისის—ალ. მდივნიშვილი | 61 | 31 | 50,8 |
| დუშეთის—ივ. კარიაული | 17 | 9 | 52,9 |
| საგარეჯოს—ალ. ქემოკლიძე | 45 | 40 | 88,9 |
| ბორჩალოს—მ. მაისურაძე | 45 | 46 | 102,2 |
| ლუქსემბურგის—ვ. ბელქანია | 33 | 39 | 118,2 |
| ყარაიასი—ნ. გორგაძე | 35 | 28 | 80 |
| გურჯაანის—ივ. ბარბაქაძე | 46 | 22 | 47,8 |
| კაჭრეთის—ალ. მეტრეველი | 20 | 11 | 55 |
| ულიანოვკის—მ. ალავერდაშვილი | 40 | 40 | 100 |
| წნორის—ივ. ფეიქრიშვილი | 62 | 40 | 64,5 |
| წითელწყაროს—მ. ერიაშვილი | 50 | 50 | 100 |
| ალაზნის—გ. ასატუროვი | 50 | 23 | 46 |
| თელავის—ივ. მახარობლიძე | 51 | 31 | 60,8 |
| ყვარლის—ვ. ტალახაძე | 43 | 41 | 95,3 |
| ლაგოდეხის—ს. გუდკოვი | 43 | 43 | 100 |
| ასურეთის—ერ. ვანიევი | 28 | 27 | 96,4 |
| ბაშკიჩეთის—გ. ოვანოვი | 28 | 16 | 57,1 |
| თიანეთის—კ. ჰინჭარაული | 16 | 16 | 100 |
| წალკის—ა. აგაიანი | 30 | 22 | 73,3 |
| სადახლოს—ბ. მამედოვი | 31 | 27 | 87,1 |
| ადიგენის—ა. ნახაპეტოვი | 8 | 8 | 100 |
| წალენჯიხის—მ. კვარაცხელია | 5 | 6 | 120 |
| ქუთაისის—ვ. ნემსიწვერიძე | 23 | 14 | 60,9 |
| საეჭრედიის—კ. გაბედავა | 8 | 8 | 100 |
| წულუკიძის—ნ. ხვიჩია | 16 | 12 | 75 |
| ვანის—მ. ცქიფურიშვილი | 20 | 12 | 60 |
| ზესტაფონის—შ. ბარბაქაძე | 13 | 11 | 84,6 |
| აბაშის—ალ. წულაია | 19 | 14 | 73,7 |
| ცხაკაიას—ხ. მაქაცარია | 15 | 10 | 66,7 |
| ვეგეჭკორის—ვლ. მიქაძე | 10 | 7 | 70 |
| ზუგდიდის—ვლ. ჩიქავა | 16 | 9 | 56,3 |
| ხობის—კ. ჩემინავა | 20 | 22 | 110 |
| მახარაძის—ერ. გობრონიძე | 14 | 14 | 100 |
| ლანჩხუთის—ნ. ლაღაძე | 8 | 8 | 100 |
| გალის—მ. ხვიტია | 8 | 2 | 25 |
| ოჩამჩირის—მ. აბლოტია | 17 | 8 | 47,1 |
| გუდაუთის—უ. აბლოტია | 3 | 1 | 33,3 |
| სოხუმის—გრ. კოტრიკაძე | 8 | 5 | 62,5 |
| სულ | 1448 | 1132 | 78,4 |

ახალი ცნობების წარმოუდგენლობის გამო კაჭრეთისა და გალის მტს-ების შესახებ ცხრილში შეტანილია 1 იანვრის მაჩვენებლები, სტალინირის, წეროვნის, დუშეთის, ალაზნისა და გუდაუთის მტს-ებისა— 10 იანვრის, ხოლო ბოგდანოვკის, ბორჩალოს, ასურეთის, წალკის, აბაშის, ცხაკაიას, ზუგდიდისა და ოჩამჩირის მტს-ების შესახებ — 15 იანვრის.

20 იანვრისათვის რესპუბლიკაში კაპიტალურად შეკეთებული იყო სულ 357 ტრაქტორი — გეგმის 71,5 პროცენტი, მიმდინარე რემონტი კი მოტორების მთლიანი დაშლით გაუკეთდა 775 ტრაქტორს — გეგმის 82,1 პროც.



მზადება საგაზაფხულო თესვისათვის
სურათზე: ტრაქტორის კულტივატორის რემონტი საქართველოს სახელმწიფო სასელექციო სადგურში.
ფოტო შიუკაშვილისა (საქდესის ფოტოქრონიკა)

# მგზნებარე ბოლშევიკის ცხოვრება

(ვ. ვ. კუიბიშევის მუხანათური მოკვლის მე-4 წლისთავისათვის)

ოთხი წლის წინათ, 1935 წლის 25 იანვარს, 14 საათსა და 30 წუთზე სამუდამოდ შესწყდა დაუცხრომელი რევოლუციური მებრძოლის, ბოლშევიკური პარტიის უდიდესი მოღვაწის, ლენინისა და სტალინის ურთგულესი თანამებრძოლის — ვალერიან ვლადიმერის-ძე კუიბიშევის გულის ძგერა.

მხოლოდ ცოტა ხნის წინათ უდიდესი გულის ტკივილით გაიგო საბჭოთა ხალხმა ვალერიან ვლადიმერის-ძის სიკვდილის ნამდვილი მიზეზი: ტროცკისტ-ბუხარინული ჯაშუშური ბანდის პირსისხლიანმა ფაშისტმა არამზადებმა მუხანათურად მოჰკლეს ამხანაგი კუიბიშევი ისევე, როგორც ავაზაკურად მოჰკლეს ამხანაგები კიროვი, გორკი და მენჟინსკი.

უსაზღვრესმა მოღალატეებმა, ფაშისტურ დაზვერვათა დაქირავებულმა აგენტებმა, რომელნიც ცდილობდნენ აღედგინათ კაპიტალიზმი ჩვენს ქვეყანაში, — მათ იცოდნენ, რომ კუიბიშევი ისე, როგორც კიროვი, როგორც გორკი, როგორც მენჟინსკი თავდადებულად იბრძოდა ხალხის ბედნიერებისათვის, დაუნდობლად ანადგურებდა ყველას, ვინც ცდილობდა ლენინურ - სტალინური გზიდან გადაეცდინა პარტია; მტრებმა იცოდნენ, რომ კუიბიშევი უსაზღვროდ ერთგული იყო ლენინისა და სტალინის. ამიტომ იყო, რომ ასეთი მხეცური ღვარძლიანობით სძულდათ კუიბიშევი მემარჯვენე - ტროცკისტ უწმინდურებს, რომლებმაც შეიმუშავეს და განახორციელეს ჩვენი პარტიის ამ შესანიშნავი შვილის, მისი ერთერთი საუკეთესო ხელმძღვანელის მოკვლის უსაძაგლესი გეგმა.

კუიბიშევის საამაყო სახელთან მუდამ იქნება დაკავშირებული წარმოდგენა მებრძოლ ბოლშევიკზე, რევოლუციონერზე, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე, ყრმობიდან მოკიდებული, კომუნიზმის საქმისათვის ბრძოლას შესწირა.

მივარდნილ ქალაქ კოკჩეტავის (ყოფ. აკმოლინსკის ოლქი) სამხედრო რაზმის უფროსისა და მასწავლებელი-ქალის შვილი, იგი, ჯერ კიდევ პატარა ბიჭი, ომსკის კადეტთა კორპუსის მოწაფე გაიტაცა რევოლუციურმა ლიტერატურამ. ზაფხულობით მშობლებთან ჩასული ვალერიანი მონაწილეობას იღებდა თავის ტოლთა არალეგალურ კრებებში.

1904 წელს 16 წლის ჭაბუკი კუიბიშევი შედის რსდმპ ომსკის ორგანიზაციაში და იმთავითვე ბოლშევიკების ფრაქციას ემხრობა. იგი ეწევა რევოლუციურ მუშაობას მოწაფეებს შორის, ომსკის რკინიგზის სახელოსნოს მუშებს შორის, გამოდის მენშევიკების წინააღმდეგ.

ერთი წლის შემდეგ კუიბიშევი შედის პეტერბურგის სამხედრო-სამედიცინო აკადემიაში და კავშირს აბამს პეტერბურგის პარტიულ ორგანიზაციასთან, ავრცელებს არალეგალურ ლიტერატურას, მუშაობს იარაღის გადაზიდვაზე. რევოლუციური მუშაობისათვის მას აკადემიიდან რიცხავენ. იგი მიდის ომსკს და ეწევა არალეგალურ მუშაობას. მიუხედავად თავისი ახალგაზრდობისა, ვალერიან ვლადიმერის-ძე უდიდეს პარტიულ მუშაობას ეწევა ომსკში. იგი აღწევს იმას, რომ ომსკის პარტიული კომიტეტის შემადგენლობაში ერთი მენშევიკიც აღარ რჩება. იმავდროულად იგი ხელმძღვანელობს სავაჭრო სამრეწველო მოსამსახურეებისა და რკინიგზის სახელოსნოს მუშების გაფიცვებს, დიდ საპროპაგანდო მუშაობას ეწევა და რაზმავს რევოლუციურ ახალგაზრდობას. 1906 წლის ნოემბერში კუიბიშევი მოხსენებით გამოდის ომსკის პარტიულ კონფერენციაზე. მას აპატიმრებენ კონფერენციის ყველა დელეგატთან ერთად.

კუიბიშევი რამდენიმე თვე ზის საპყრობილეში. ეს მისი პირველი პატიმრობაა. მაგრამ ჭაბუკი კუიბიშევი ისე იქცევა, როგორც ნამდვილი რევოლუციონერი. ამხანაგებთან ერთად იგი იღებს გადაწყვეტილებას უარი სთქვას დამცველზე და არავითარი ჩვენება არ მისცეს მეფის სასამართლოს. ამხანაგები პოლიტიკურ მამასახლისად ირჩევენ კუიბიშევს.

1907 წლის გაზაფხულზე კუიბიშევს ასახლებენ ომსკიდან. იგი ფარულად გადადის ტომსკს. აქ კოოპტაციის წესით შეჰყავთ ტომსკის პარტიული კომიტეტის შემადგენლობაში. მაგრამ პოლიცია მალე ჰპოულობს მის კვალს და კუიბიშევი გადადის პეტროპავლოვსკს, შემდეგ კაინსკს. კუიბიშევი აქ პოლიციის აშკარა ზედამხედველობის ქვეშ იმყოფება, მაგრამ მაინც ბჭალებს რევოლუციურ მუშაობას, აარსებს წრეებს, აწყობს პროკლამაციების ბეჭდვას და სხვ.

კაინსკიდან თვითნებური წასვლისათვის მას დაუსწრებლად მიუსაჯეს სამი თვის პატიმრობა. ვალერიან ვლადიმერის-ძე იმალება პეტერბურგში, მაგრამ პარტიულ ორგანიზაციასთან კავშირის გაბმას აქ ვერ ახერხებს. მას ახალი დაპატიმრების საფრთხე მოელის. იგი შოულობს საზღვარგარეთის პასპორტს და სურს წავიდეს საზღვარგარეთ, შეხვდეს ილიჩს და მიიღოს დავალებანი შემდგომი მუშაობისათვის. ყველაფერი მზად იყო წასასვლელად. უკანასკნელ წუთს ვალერიან ვლადიმერის-ძე შეიტყობს, რომ ერთ რევოლუციონერს, რომელსაც იგი პირადად არ იცნობდა, მოელის სიკვდილით დასჯა და რომ მის გადასარჩენად საჭიროა საზღვარგარეთის პასპორტი. კუიბიშევი სთმობს თავის პასპორტს და მალე, როგორც გადასახლებიდან გაქცეულს მას საპყრობილეში ათავსებენ.

სამი თვის შემდეგ მას ანთავისუფლებენ, ასახლებენ კაინსკში, ხოლო ნახევარი წლის შემდეგ არალეგალური ამანათის მიღებისათვის კვლავ ტომსკის საპყრობილის ცალკე საკანში ათავსებენ.

დაპატიმრებანი და დევნა აწრთობენ ახალგაზრდა მამაცი რევოლუციონერის ნებისყოფას. ერთერთ ლექსში, რომელიც ამ პერიოდში საპყრობილეშია დაწერილი, ვალერიან ვლადიმერის-ძე მიმართავს დედას და ამბობს:

ვერც ბორკილი, ვერც საკანი,
ვერც წლები გაწამებისა
სიტყვასაც ვერ წამომაცდენს
საძრახი შეწყალებისა.

ახალი დაპატიმრების შემდეგ 1910 წელს კუიბიშევს ნარიმში ასახლებენ. მაგრამ კუიბიშევი ნარიმში გადასახლების მძიმე პირობებშიც არ იტეხს გულს. იგი რაზმავს გადასახლებულ ბოლშევიკებს, კითხულობს მათთვის ისტორიის კურსს, ებრძვის მენშევიკებსა და ესერებს, აწყობს ამხანაგების გაქცევას.

გადასახლებაში ყოფნის დროს კუიბიშევს პოლიცია ორჯერ ათავსებს საპყრობილეში რევოლუციური მუშაობისათვის.

1914 წელია. კუიბიშევი კვლავ პეტერბურგშია. იგი მუშაობს საროსორო სახელოსნოში, შემდეგ საავადმყოფო სალაროების მდივნად გეისლერისა და „ტრეუგოლნიკის“ ქარხნებში; მას ირჩევენ რსდმპ პეტროგრადის კომიტეტის შემადგენლობაში, ხელმძღვანელობს საპროპაგანდო მუშაობას პეტროგრადის ორგანიზაციაში.

დაიწყო იმპერიალისტური ომი. კუიბიშევი სდგას ინტერნაციონალიზმის ბოლშევიკურ პოზიციებზე. იგი ამხილებს მენშევიკებსა და ტროცკისტებს, რომელნიც, არსებითად, მხარს უჭერენ მეფის მთავრობას, იგი განუმარტავს მუშებს, რომ საჭიროა იმპერიალისტური ომის გადაქცევა სამოქალაქო ომად.

1915 წლის ივლისში კუიბიშევს აპატიმრებენ და სამი წლით ასახლებენ ირკუტსკის გუბერნიის ვერხოლენსკის მაზრის სოფელ ტუტურში. ტუტურს მისვლისთანავე კუიბიშევი დიდ პოლიტიკურ მუშაობას აჩაღებს: აწყობს ყველა ახლომახლო სოფელში მყოფ გადასახლებულთა კონფერენციას, აარსებს წრეებს, ხელნაწერ ჟურნალს.

რამდენიმე თვის შემდეგ კუიბიშევი გარბის გადასახლებიდან და ჩადის სამარას. აქ იგი ადამჩიკის გვარით მეტაბლედ მუშაობს ფურნეში, შემდეგ მღარველად მიდის ფიდიდეს ქარხანაში, ხელმძღვანელობს ბოლშევიკურ ორგანიზაციას. 1916 წლის შემოდგომაზე ვალერიან ვლადიმერის-ძე აწყობს სამარაში პოვოლჟიეს ბოლშევიკების კონფერენციას. ამ დროს მას აპატიმრებენ და ასახლებენ ტურუხანის მხარეში.

1917 წლის 6 მარტს გადასახლებაში მიმავალი კუიბიშევი და მისი ამხანაგები ერთ მიყრუებულ სოფელში, კრასნოიარსკიდან 200 ვერსზე შეიტყობენ თვითმპყრობელობის დამხობის სასიხარულო ამბავს.

ვალერიან ვლადიმერის-ძე ისევ სამარაშია. იგი აწყობს ბოლშევიკურ ორგანიზაციას, თანამშრომლობს „პოვოლჟსკაია პრავდაში“, ანადგურებს მენშევიკებსა და ესერებს, აიარაღებს სამარელ მუშებს, თავს უყრის წითელი გვარდიის რაზმებს. კუიბიშევის ხელმძღვანელობით სამარელი ბოლშევიკები აღწევენ იმას, რომ სამარა ხდება ერთერთი პირველი ქალაქი, რომელიც მოითხოვს ძალაუფლების გადასვლას საბჭოების ხელში.

1917 წლის ნოემბერში კუიბიშევს ირჩევენ სამარას რევოლუციური კომიტეტის თავმჯდომარედ.

დაიწყო სამოქალაქო ომი. კუიბიშევი მთელი არსებით ეძლევა სამხედრო საქმეს. 1918 წლის გაზაფხულზე ჩეხოსლოვაკები რუს თეთრგვარდიელებთან ერთად დაიძრნენ სამარასაკენ. წითელი არმიის მცირერიცხოვანი და ჯერ კიდევ ნაკლებ გაწრთვნილი რაზმები იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ მტრის უდიდესი ძალების წინაშე. კუიბიშევი ინიშნება პირველი არმიის პოლიტიკურ კომისრად. ეს არმია მას ფაქტიურად უნდა შეექმნა დაქსაქსული რაზმებისაგან. იგი ჰქმნის მას. ვ. ვ. კუიბიშევის ხელმძღვანელობით წითელი არმია უკანვე ართმევს მტერს სიმბირსკს, შემდეგ სიზრანსა და სამარას.

ფრუნზესთან ერთად კუიბიშევი ანადგურებს თეთრგვარდიელებს აღმოსავლეთის ფრონტზე; კიროვთან ერთად, როგორც მე-11 არმიის რევოლუციური სამხედრო საბჭოს წევრი, იგი აწყობს ასტრახანის თავდაცვას, რის შემდეგაც კვლავ ფრუნზესთან ერთად მეთაურობს თურქესტანის ფრონტის ოპერაციებს და შუა აზიის ურთულეს პირობებში ახორციელებს ლენინურ-სტალინურ ნაციონალურ პოლიტიკას.

სამოქალაქო ომის დამთავრების შემდეგ, 1921 წელს, კუიბიშევი — პროფესიული კავშირების სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის წევრია, იგი აქ მისთვის ჩვეული ენერგიით იბრძვის ლენინური ხაზის გატარებისათვის პროფესიული კავშირების მუშაობაში.

პარტიის მე-10 ყრილობაზე კუიბიშევს ირჩევენ ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობაში, ხოლო მე-11 ყრილობის შემდეგ—საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნად. 1927 წლის დეკემბრიდან კუიბიშევი საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრია.

პარტიამ იცოდა და აფასებდა ამხანაგ კუიბიშევის მრავალი წლის შეურიგებელსა და დაუნდობელ ბრძოლას პარტიის ყველა მტრებთან, საზიზღარი ოპურტუნისტური დაჯგუფებებთან, რომელთაც იგი ოსტატურად ამხილებდა და საზიზღარ ნიღაბს ხდიდა.

ამიტომ პარტია ავალებს ამხანაგ კუიბიშევს ცენტრალური საკონტროლო კომისიის — მუშგლეხინის ხელმძღვანელობას, და იგი მართლაც არ ჰზოგავს თავის ძალას პარტიული რიგების ერთიანობისა და სიწმინდის დაცვისათვის, სახელმწიფო აპარატში ბიუროკრატიზმის აღმოფხვრისათვის ბრძოლაში. ცენტრალური საკონტროლო კომისიის — მუშგლეხინის თავმჯდომარის პოსტზე ამხ. კუიბიშევი დაუნდობლად იბრძვის კონტრრევოლუციონერ ტროცკისტ-ზინოვიეველ და სხვა მოღალატეთა წინააღმდეგ.

1926 წელს, როდესაც უეცარი სიკვდილით დაეცა ლენინურ-სტალინური საქმისათვის მგზნებარე მებრძოლი ფელიქს ძერჟინსკი, პარტია სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ ნიშნავს ვალერიან ვლადიმერის-ძეს.

კუიბიშევი ხელმძღვანელობს ჩვენი ქვეყნის უდიდესი ინდუსტრიული გიგანტების „აზოვსტალის“, „ზაპოროჟსტალის“, „მაგნიტკის“, „კუზნეცკისა“ და სხვ. დაპროექტების საქმეს. იგი თვითონ პირადად არჩევს „დნეპროსტროის“, „ბერეზნიკოვის“, სტალინგრადის სატრაქტორო გიგანტისა და მთელი რიგი სხვა გიგანტების მშენებლობის ადგილს.

მებრძოლმა ორგანიზატორმა, არალეგალურმა მუშაკმა, შესანიშნავმა ფრონტელმა სამოქალაქო ომის წლებში, ვალერიან ვლადიმერის-ძემ გაშალა ახლა საბჭოთა ინდუსტრიის ორგანიზატორის, ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის დიადი სტალინური გეგმისათვის და მემარჯვენე და ტროცკისტული მოღალატეებისა და დივერსანტების წინააღმდეგ მებრძოლის განსაკუთრებული ნიჭი. იგი მთელს თავის მჩქეფარე ენერგიას ანდომებს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის სწრაფი აღმავლობისათვის ბრძოლას. შემდეგ ამხანაგი კუიბიშევი ხელმძღვანელობს სახელმწიფო-საგეგმო კომისიას და იმავდროულად არის სსრ კავშირის სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

საბჭოთა კონტროლის კომისიის დაარსების შემდეგ 1934 წელს კუიბიშევი მისი თავმჯდომარე ხდება. საბჭოთა კონტროლის კომისიის პლენუმზე 1934 წლის ივლისში იგი ხაზგასმით აღნიშნავს საბჭოთა კონტროლის კომისიის მოვალეობას „გამოაშკარავოს მთავრობის გადაწყვეტილებათა შეუსრულებლობა, აღმოფხვრას დაბრკოლებანი და გადაჭრით იბრძოლოს საბჭოთა სახელმწიფოს ნებსითი და უნებლიეთი, აშკარა და ფარული მტრების წინააღმდეგ“.*) სწორედ ამ მიმართულებით აწყობს იგი საბჭოთა კონტროლის კომისიის მუშაობას.

იმ დაუვიწყარ თვეებში, როდესაც მთელი ჩვენი ქვეყანა შეშფოთებული იყო „ჩელუსკინის“ გმირული ეკიპაჟის ბედისათვის, კუიბიშევი მთავრობის დავალებით სათავეში ჩაუდგა ჩელუსკინელთა გადარჩენის საქმეს. იგი ღამეებს სტეხდა და ხელმძღვანელობდა გადარჩენის ოპერაციებს, იმუშავებდა სხვადასხვა ვარიანტს, რაზმავდა ადამიანებს და კიდეც მოიპოვა ბრწყინვალე გამარჯვებანი, რამაც მთელი მსოფლიო გააკვირვა.

შესანიშნავი, მრავალმხრივი ბოლშევიკი, იგი სულდგმულობდა რევოლუციისა და სოციალისტური მშენებლობის წარმატებებით. ამას ანდომებდა იგი მთელ თავის ძალას.

ეს იყო ლენინურ-სტალინური ტიპის პოლიტიკური მოღვაწე, უშიშარი ბრძოლაში, დაუნდობელი სოციალიზმის მტრების მიმართ, ნათელი და გარკვეული, პატიოსანი და მართალი მოღვაწე, რომელსაც უსაზღვროდ უყვარდა თავისი ხალხი და თავისი სამშობლო.

მისი მაღალი პრინციპულობისათვის, განსაცვიფრებელი დაუღალავი ენერგიისათვის, რაც შეერთებული იყო ოპტიმიზმთან, თავისი საქმის წარმატების რწმენასთან, მასებთან მჭიდრო კავშირისათვის, იმისათვის, რომ თავისი 30-წლის ბოლშევიკური გზის მანძილზე მაღლა ეპყრა ლენინ-სტალინის დროშა, ჩვენს პარტიასა და ჩვენს ხალხს უყვარდა და უყვარს ამხანაგი კუიბიშევი.

და სწორედ ამიტომ გაიმსჭვალა მისდამი სიძულვილით ფაშისტი პროვოკატორების, ჯაშუშებისა და კაცის მკვლელების მთელი ხროვა.

ტროცკისტ - ბუხარინულ - რიკოველთა ბანდის მეთაურების დავალებით მოღალატე ლევინი და პლეტნევი ჩადიოდნენ ყველაფერს, რათა, ვითომდა ვმკურნალობთო, მოეშალათ კუიბიშევის ჯანმრთელობა, მოეკლათ იგი.

საბჭოთა ხალხი არასოდეს არ დაივიწყებს ტროცკისტ-ბუხარინელი ფაშისტური ძაღლების ამ მხეცურ სისხლიან დანაშაულს. ფაშისტთა დაქირავებული აგენტების განადგურებული მტრული ბანდების ნაბოლარები ხალხის მიერ დაუნდობლად და ბოლომდე იქნებიან მოსპობილი.

ამხანაგ კუიბიშევის ნათელი, გმირული სახე, მისი ბრწყინვალე, ბრძოლით აღსავსე სიცოცხლე, ლენინურ-სტალინური ტიპის რევოლუციონერის მჩქეფარე სიცოცხლე სამუდამოდ დარჩება იმ ხალხის გულში, რომელსაც მან მთელი თავისი სიცოცხლე უკლებლივ შესწირა.

*) ვ. ვ. კუიბიშევი. სტატიები და სიტყვები. პარტგამომცემლობა, 1935 წ. გვ. 304.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დაიდო ხელშეკრულება დონბასელებსა და ტყიბულელებს შორის

[illegible]

პროცენტს შეადგენს, მოსამზადებელი სამუშაოების გეგმა შეასრულონ 105 პროცენტით, საშუალო-სადღეღამისო ციკლურობა აიყვანონ 21 ციკლამდე, ერთი მშრომელის შრომის ნაყოფიერება გაადიდონ 23 ტონამდე მაინც, საჭრელი მანქანის ნაყოფიერება გაზარდონ 4.000 ტონამდე, გააუმჯობესონ ქვანახშირის ხარისხი, შეამცირონ ნახშირის ნაცრიანობა 6,5 პროცენტამდე, ტონის თვითღირებულება—5 პროცენტამდე. მათ იკისრეს აგრეთვე ვალდებულება გამოზარდონ სოციალისტური შრომის სამასზე მეტი ოსტატი და მიიღეს მთელი რიგი ვალდებულებები მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისა და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის შემდგომი გაშლისათვის.

ტყიბულქვანახშირის ლენინის სახელობის მაღაროს კოლექტივმა სიამოვნებით მიიღო გამოწვევა და იკისრა შემდეგი ვალდებულებანი:

ქვანახშირის ამოღების წლიური გეგმა შეასრულოს ა.-წ. 4 დეკემბრისათვის 107 პროცენტით. გეგმით გათვალისწინებული 193 ათასი ტონის ნაცვლად ამოიღოს 206.600 ტონა ქვანახშირი, მოსამზადებელ სამუშაოთა გეგმა შეასრულოს 105 პროცენტით, მოსამზადებელ სამუშაოთა საშუალო - თვიური ციკლუ-

[illegible]

თა მონაწილეობით. ილაპარაკეს როგორც დონბასელმა, ისე ტყიბულელმა სტახანოველებმა.

ხელშეკრულებათა გაფორმებას ესწრებოდნენ: პარტრაიკომის მდივანი ფ. ქასრაშვილი, ტყიბულქვანახშირის ტრესტის დირექტორი ამხ. ჩიკვაიძე, ლენინის სახელობის მაღაროს უფროსი, ორდენოსანი ამხ. გ. გორგიძე და მაღაროს მთელი აქტივი.

დონბასელების სახელით ილაპარაკა ვოროშილოვუგოლის № 9 შახტის პარტკომის მდივანმა ამხ. კოსტიუკმა, რომელმაც წაიკითხა ხელშეკრულების ტექსტი და წარმოსთქვა მგზნებარე სიტყვა ხალხთა სტალინურ მეგობრობაზე. საპასუხო სიტყვებით გამოვიდნენ ტყიბულქვანახშირის ლენინის სახელობის მაღაროს უფროსი ამხ. გორგიძე, სტახანოველი მაღაროელები: ალ. დარსაძე, ბ. თოდიძე, კ. ბასილაძე, რომელთაც ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებით იკისრეს კონკრეტული ვალდებულებები, და მაღაროს პარტკომის მდივანი ირ. გორგიძე, რომელმაც გაამახვილა ყურადღება იმაზე, რომ ტყიბულის მაღაროელებმა უნდა უზრუნველჰყონ ამიერ-კავკასიის მოთხოვნილება ქვანახშირზე.

**მ. აბაკელია**
**გ. გიორგაძე**

## ყინულმჭრელმა „ლაზარ კაგანოვიჩმა“ დაიწყო პირველი რეისი

**ოდესა,** 21 იანვარი (საკდესი). 20 იანვარს 23 საათსა და 20 წუთზე ყინულმჭრელი „ლაზარ კაგანოვიჩი“ მოსცილდა ოდესის ნავსადგურის ნავმისადგომს და გარე რეიდზე დადგა. აქედან ღამის 3 საათზე გემი გაემგზავრა თავის პირველ რეისში.

ოდესიდან შორეულ აღმოსავლეთში გადასვლა 9 ზღვისა და 2 ოკეანის გავლით ნავარაუდევია 42 დღის განმავლობაში. რამდენიმე ათასი ტონა ქვანახშირისა და წყლის გარდა გემზე დატვირთულია დიდძალი სურსათ-სანოვაგე.

გემზე ფართოდ გაჩაღდა კულტურულ - მასობრივი მუშაობა. მოწყობილია ჯაზ-ორკესტრი, მხატვრული კითხვის წრეები, მეზღვაურები ჰქმნიან სიმღერისა და ცეკვის თვითმოქმედ ანსამბლს, გემის ბიბლიოთეკაში 2 ათასი წიგნია.

რეისში გასვლის მომენტიდან დაიწყო ყოველდღიური ნაბეჭდი მრავალტირაჟიანი გაზეთის „სტახანოვსკაია ვახტის“ გამოსვლა.

**ბ. აბულაძე**

# ბრწყინვალე სპექტაკლი

## „თოფიანი კაცი“ რუსთაველის თეატრში

თავის პიესას „თოფიანი კაცი“ დრამატურგმა ნიკ. პოგოდინმა საფუძვლად დაუდო **ვ. ი. ლენინის** ისტორიული სიტყვა პუტილოვის ქარხანაში ოქტომბრის რევოლუციის დღეებში, რომელშიაც პროლეტარიატის დიადმა მასწავლებელმა მოგვცა შესანიშნავი ანალიზი იმისა, თუ რატომ წარმოადგენს თოფიანი კაცი რევოლუციის ერთგულ ძალას, მის დასაყრდენს.

— მე ნებას მივცემ ჩემს თავს მოგითხროთ ერთი შემთხვევა, რომელიც მე შემემთხვა. ეს იყო ფინეთის რკინიგზაზე, სადაც მე მომიხდა რამდენიმე ფინისა და მოხუცი დედაკაცის საუბრის მოსმენა. და აი, როგორი აზრი გამოსთქვა აქ დედაბერმა. მან სთქვა: „ახლა თოფიანი კაცის როდი უნდა გვეშინოდეს. როცა მე ტყეში ვიყავი, შემომხვდა ერთი თოფიანი კაცი და იმის მაგიერ, რომ წაერთვა ჩემთვის ფიჩხი, მან კიდეც დამიმატა“. როცა მე ამას ყური მოვკარი, გულში ვთქვი: „დაე, ასეულმა გაზეთებმა, როგორიც არ უნდა უწოდონ მათ თავის თავს, სოციალისტური, თითქმის სოციალისტური და სხვა,—დაე, ასეულმა მყვირალა ხმამ გვიწოდოს ჩვენ „დიქტატორები“, „მოძალადენი“ და სხვა ასეთი სიტყვები. ჩვენ ვიცით, რომ ხალხის მასებიდან ახლა სულ სხვა ხმა იძვრის, ისინი თავის თავს ეუბნებიან: ახლა თოფიანი კაცის არ უნდა გეშინოდეს, რადგან იგი იცავს მშრომელებს და დაუნდობელი იქნება ექსპლოატატორთა ბატონობის მოსპობის საქმეში“.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ „თოფიანი კაცის“ თვითეული ეპიზოდი ვ. ი. ლენინის ამ დებულების მხატვრულ ინტერპრეტაციას წარმოადგენს, მიუხედავად იმისა, რომ ყოველ ცალკე სურათს თავისი დასრულებული დრამატიული კვანძი აქვს. ეპიზოდთა ერთობლიობა იძლევა მაღალმხატვრული ღირსების დრამატიულ ნაწარმოებს, რომელშიაც ოსტატური დამაჯერებლობით არის დაცული ინტერესთა და ხასიათთა ათლიანობა.

პიესა მთლიანად მსოფლიო პროლეტარიატის ბელადების ვ. ი. **ლენინისა და ი. ბ. სტალინის** სცენიურ განსახიერებას წარმოადგენს. სიტყვიერი მასალა ბელადებისათვის აქ მცირეა, მაგრამ ყოველ მოქმედებაში მაყურებლის წინ მკვეთრად იხაზება მათი მაორგანიზებელი ძალა. უფრო მეტიც! პიესაში მოცემულია ის ცხოველმყოფელი გავლენა, რომელსაც ახდენენ ბელადები რევოლუციისათვის სოციალურად მშობლიურ და ახლობელ, მაგრამ შეგნებით მისგან დაცილებულ, გამოურკვეველ მდგომარეობაში მყოფ ადამიანებზე.

ჯერ კიდევ ვლ. მაიაკოვსკიმ იშვიათი პოეტური აღმაფრენით მოგვცა ლენინის ეს შესანიშნავი თვისება—

„ვიცნობდი მუშას.
წერა-კითხვა მან არ იცოდა,
ჯერ არ ეგემა ანბანის სიტკბო.
მაგრამ ლენინის
მოესმინა
მას საუბარი
და ყველაფერი
იცოდა მიტომ“.

დრამატურგიც იშვიათი ოსტატობით ხსნის თავის პიესაში პროლეტარიატის ბელადების როლს მუშებისა და გლეხების კლასობრივ თვითგამორკვევაში. შევბულებაში წასულ ჯარისკაცს ივანე შჩადრინს სწორედ მაშინ განუმტკიცდა გულში რევოლუციის ერთგულება და სიყვარული, როდესაც იგი ლენინს შეხვდა და პირადად ესაუბრა.

⊙

რუსთაველის ლენინის ორდენოსანი თეატრის კოლექტივის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მისი სახით ავტორმა თავისი დრამატიული გააზრების შესანიშნავი გამხსნელი იპოვნა. დამდგმელმა — სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ორდენოსანმა **აკაკი ხორავამ,** მხატვარმა—ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ორდენოსანმა **ირ. გამრეკელმა,** კომპოზიტორმა — ხელოვნების დამს. მოღვაწემ ორდენოსანმა **ი. ტუსკიამ** და მსახიობთა მთელმა კოლექტივმა მოგვცეს ეპოქის თანახმოვანი გამართული სპექტაკლი, რომელშიც მშვენივრად არის დაჭერილი პიესის იდეა და გაგებული მისი თავისებურებანი. ამ მხრივ თეატრმა დრა-



მსახიობი დ. ხუციშვილი ი. შჩადრინის როლში.



დამსახურებული არტისტი, ორდენოსანი დ. მჟავია ლენინის როლში.



რესპუბლიკის სახალხო არტისტი, ორდენოსანი გ. დავითაშვილი ჩიბისოვის როლში.

მატურგს უდავოდ გამარჯვება მოუტანა. მთარგმნელებმა **ი. გრიშაშვილმა და მარიჯანმა** ეს პიესა შესანიშნავი ენით აამეტყველეს ქართულ სცენაზე.

სპექტაკლი იხსნება სურათით, რომელიც ასახავს სანგრების ცხოვრებას. რუსეთის ჯარისკაცის ჯოჯოხეთური გარემოცვა მოწინავე პოზიციებზე მოცემულია უნაკლო რეალისტურ ფერებში. ნისლი, ბურუსი, შავი ღრუბლები, რომელიც ახლო ჩამოსწოლიან ამ სანგრებს, რაღაც იდუმალი ძაფით უკავშირდება სანგრებში მყოფ ჯარისკაცთა შეგნების დონეს, მათ გამოურკვევლობას. და როცა ნახულობთ უკანასკნელ სურათს, სადაც ვ. ი. ლენინი ფიგურალურად ხსნის მშრომელთა შეგნების გარდაქმნას, აქ ლენინისაკენ მიმართული შუქი ხსნის იმას, რომ მათმა შეგნებამ გაიღვიძა და მასების წინაშე ნათელ პერსპექტივად იშლება მოქმედების დიადი გეზმა. ეს არის ლენინის მიერ ნაჩვენები **გზა** — მუშათა და გლეხთა მჭიდრო კავშირისა და ერთიანი მოქმედებისა. ეს რეჟისორულად შესანიშნავად არის მოფიქრებული და დამდგმელის დიდ მხატვრულ შესაძლებლობას ადასტურებს.

დამდგმელის ოსტატობა განსაკუთრებით მკვეთრად იგრძნობა სცენაში სმოლნის წინ, როდესაც ივ. შჩადრინი ადგენს რაზმს ფრონტზე წასასვლელად. მასობრივ სცენებში სახელმოხვეჭილმა ოსტატმა — ლენინის ორდენოსანი თეატრის კოლექტივმა, — არაფერი დაიშურა იმისათვის, რომ გრანდიოზულად განესახიერებინა ეს სცენა და უნდა ითქვას, რომ აქ მიზანი სავსებით მიღწეულია. ჩვენ აქ საქმე გვაქვს ყოველმხრივ მოფიქრებულ უდიდესი სიმართლით განსახიერებულ სცენასთან, რომელშიაც ა. ხორავა გვევლინება როგორც გამოცდილი და დახელოვნებული რეჟისორი, მიუხედავად იმისა, რომ ეს მისი პირველი რეჟისორული ნაბიჯია.

თუმცა სპექტაკლმა გვიჩვენა, რომ დამდგმელს კარგად აქვს გაგებული პიესის არსი და თავისებურებანი, მაგრამ მას მაინც შეუტანია მასში მრავალი სასურველი კორექტივი. ზოგიერთ შემთხვევაში დამდგმელს მაინც ვერ დავეთანხმებით. პოგოდინის დრამატურგიულ კოლორიტს უსათუოდ არღვევს პირველი სურათის ბოლოს მოკვეცა, სახელდობრ, კაპიტანის სიკვდილის და შჩადრინის შურისძიებით აღსავსე სიტყვების („—რა ჰქენით, კაპიტანო, შესცვალეთ?!“) მოხსნა. ასევე ითქმის სცენაზე სმოლნში (ლენინის კაბინეტი). აქ ლენინისა და სტალინის შეხვედრა აუცილებელია, რადგან ჯერ ერთი, ლენინი სთხოვს ტელეფონით ამხანაგ სტალინს როცა მოიცლის მოვიდეს მასთან, ხოლო, მეორე მხრივ, ამის უგულებელყოფა ეწინააღმდეგება ავტორის დრამატურგიულ თავისებურებას, გარდა ამისა, ცალკე გმირების კოსტუმებიც მოითხოვდენ უფრო მკვეთრ დაზუსტებას.

მიუხედავად ამისა, მაყურებელმა მიიღო ჯანსაღი, უღრესად მართალი და სიცოცხლით აღსავსე სპექტაკლი, რომელიც ღრმად სწვდება მის გულს და უდავოდ ასახავს ეპოქის სტილს. ამ მხრივ მხატვრის **ირ. გამრეკელის** მუშაობაც დიდ ინტერესს იწვევს. სპექტაკლი კარგად არის გამართული. ღრმა რეალისტურ ფერებშია მოცემული ძველი სამყაროს აღსასრული და ახალი ქვეყნის დაბადება. გაფორმებით განსაკუთრებით გამოირჩევა სცენა სანგრებში, სიბირცევის დარბაზი, სმოლნი, სმოლნის ფასადი.

დადგმის მხატვრული გააზრების წარმატებით გადაჭრას ხელი შეუწყო კომპოზიტორმა **ი. ტუსკიამ,** რომელმაც მოგვცა სპექტაკლის შესატყვისი მუსიკა. იშვიათი გემოვნებით ჩადგმულია სპექტაკლი მუსიკალურ ქარგებში. მუსიკა მის განუყრელ და ორგანიულ ნაწილს შეადგენს. გარმონისა და ბოიანის ბგერათა რელაციებში მაყურებელი ჰხედავს სპექტაკლის საუცხოო მუსიკალურ ილუსტრაციას, რომელიც თავიდანვე აჯადოებს მას. ამ მხრივ კომპოზიტორის მუშაობაში ხინჯს ვერ ვიპოვით.

ახლა მსახიობებზე.

ვ. ი. ლენინის როლს ასრულებს რესპ. დამსახ. არტისტი ორდენოსანი **დ. მჟავია.** უნდა ითქვას, რომ მსოფლიო პროლეტარიატის მასწავლებლის დიადი სახის განსახიერებაზე მომუშავე მსახიობთა სახელებს მისი სახით მოემატა კიდევ ერთი თვალსაჩინო ძალა. მსახიობს მიულწევია არა მარტო პორტრეტული მსგავსებისათვის, არამედ მოუნახია ლენინის ჟესტი, მისი მიხვრა-მოხვრა. სიარულიც კი ისეთი აქვს, როგორიც ლენინს ჰქონდა, როგორც ამის შესახებ გადმოგვცემენ მოგონებები დიდ მასწავლებელზე. მსახიობის თამაშში ყველაფერი დიდი უბრალოებით არის დაცული. ყველაფერი მრავალგზის აწონ-დაწონილი და მოაზრებული აქვს მას, რადგან დ. მჟავიას კარგად სცოდნია, რომ ზომიერების ოდნავ დარღვევას ამ პასუხსაგებ როლში შეუძლია ააცდინოს მსახიობი ჭეშმარიტი შემოქმედის გზას და დაუკარგოს მას ბუნებრივობა. მჟავია დინჯად ატარებს როლს. ამ მხრივ ის უდაოდ მაღლა დგას ბევრ სხვა შემსრულებლებზე. მხოლოდ უნდა აღინიშნოს, რომ მას დიდი მუშაობა დასჭირდება იმისათვის, რომ დაეუფლოს მის მიერ განსახიერებული გმირის ხმის ინტონაციას. ყველა მონაცემები გვაქვს ვიფიქროთ, რომ მსახიობი ამ ამოცანას დასძლევს.

მსახიობ **ან. კობალაძის** თამაში, რომელიც ი. ბ. სტალინის როლს ასრულებს, ერთგვარი გაუბედაობა ეტყობა. აქტიორს უთუოდ დასჭირდება მუშაობა ამ ფრიად პასუხსაგები როლის მეტი წარმატებით ასათვისებლად.

**პიესის მთავარი გმირის** ივანე შჩადრინის როლს ასრულებს ახალგაზრდა მსახიობი **დ. ხუციშვილი,** მისი სახით ჩვენ საქმე გვაქვს ისეთ მსახიობთან, რომელსაც დიდი აქტიორული დიაპაზონი ჰქონია. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ შჩადრინის როლი ძლიერ რთული და ძნელია არა მარტო ქართველი მსახიობისათვის, არამედ შჩადრინის თანამემამულეთათვისაც. ამ შემთხვევაში დ. ხუციშვილს პროტოტიპი ქართულ სცენაზე არ ჰყოლია. მას უნდა ეთამაშა გლეხის როლი, ე. ი. წარმოედგინა ისეთი გლეხი, რომლის შეგნება ძალზე დაბალია, მაგრამ მსოფლიო ომის საშინელებანი უღვიძებენ მას შინაგან რწმენას მუშათა კლასის ბელადებისადმი. ის მიდის სოფლად, რომ შეიძინოს ძროხა, ხელახლად გააღვივოს ჩამქრალი კერა, რადგან იცის, რომ რევოლუცია მას მიწას მისცემს უსასყიდლოთ, მის საქმეს გააკეთებს. მასში ყველაფერი ისეა მომზადებული, რომ მცირე ბიძგმა გარედან უნდა მოახდინოს რევოლუცია მის შეგნებაში. ასეთი ბიძგის მიმცემია მისთვის ლენინი. და ეს სოფლის ოჯახური იდილიით გატაცებული გლეხი, როცა გაიგებს რევოლუციის ბელადისაგან, რომ თოფიანი კაცი სჭირდება რევოლუციას **„დღესვე, ახლავე“.** იგი მზადაა მიანებოს თავი ოცნებას და თოფით ხელში დაიცვას ოქტომბრის მონაპოვარი. ზედმეტია იმის მტკიცება, რომ მსახიობისათვის ეს ძნელი დასაძლევი როლია. მაგრამ დ. ხუციშვილმა ეს ამოცანა ბრწყინვალედ გადასჭრა. თამაშის ბუნებრივობით და უბრალოებით მან მიაღწია დიდ მხატვრულ სიმართლეს. ის მშვენივრად გადასცემს მაყურებელს შჩადრინის ხასიათის თანდათანობით ზრდას.

მუშა ნ. ჩიბისოვს ანსახიერებს რესპუბლიკის სახალხო არტისტი ორდენოსანი **გ. დავითაშვილი.** გმირის სიმართლით განსახიერებისათვის მსახიობს არ დაუშურებია თავისი მდიდარი სცენიური გამოცდილება და ამიტომ მან შექმნა ჩიბისოვის დამაჯერებელი სახე. გ. დავითაშვილის ჩიბისოვი შეგნებული, თავისი ბელადების ბოლომდე ერთგული, მოქმედების ამწონ-დამწონი მუშის მშვენიერი განსახიერებაა.

მეზღვაურ დიმოვის ასევე სრულყოფილ სახეს ჰქმნის რესპ. დამსახ. არტისტი ორდენოსანი **ემ. აფხაიძე.** თავისი ენერგიული თამაშით იგი მაყურებლებში დამსახურებულ აღტაცებასა და ტაშს იწვევს.

ზ. სიბირცევის როლს მშვენივრად ასრულებს ორდენოსანი მსახიობი **გ. სალარაძე.** მის თამაშში იგრძნობა ისტორიის მიერ განწირული კლასის წარმომადგენლის სულისკვეთება.

საქმეთა მმართველ ნიკანორის დამაჯერებელ სახეს იძლევა ორდენოსანი მსახიობი **სტ. ჯაფარიძე.** კარგად თამაშობენ აგრეთვე **ბ. მაღლაკელიძე** (მოღვაწე), **მ. ჩიხლაძე** (ვოლგელი) და **ივ. ჯავახიშვილი** (ლარიონი).

**ო. დოლიძე** და **შ. სიხარულიძე** შჩადრინის ცოლის ნადეჟდას როლში უბრალო გლეხი-ქალის მშვენიერ სახეს იძლევიან. ისინი ცხოვლად გადმოგვცემენ განსახიერებული ტიპის ხასიათს და თამაშშიაც დიდ ზომიერებას იჩენენ, ისევე როგორც **რ. ბერიძე** და **ფ. ქანტურია** კატერინას როლში.

ვარვარას დამახასიათებელ სახეს ჰქმნიან მსახიობები **თ. თუშიშვილი** და **ლ. ვაჩნაძე.** თანაბრად არ მიჰყავს დიდედას როლი **მ. იტრიაშვილს,** ხოლო **ალ. აფხაიძეს** (მეზღვაური ელმინთან) უადგილო ყვირილით სცენის უნაკლო ვითარებაში დისონანსი შეაქვს.

დანარჩენი ამსრულებლები ხელს უწყობენ სპექტაკლის საერთო გამარჯვებას. განსაკუთრებული სიხარულით უნდა აღინიშნოს სტუდიელებისა და სტაჟიორების თამაშის ხარისხი. სპექტაკლში განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ **ნ. კალანდაძე** (მის ფიმ), **გ. არუთინოვი** (მეეზოვე), **უ. ხ. მხარაძე** (ხნიერი ჯარისკაცი) და სხვ.

„თოფიანი კაცი“ რუსთაველის ლენინის ორდენოსანი თეატრის ბრწყინვალე სპექტაკლია.

მოსახლეობის სრულიად-საკავშირო აღწერა

# დაიწყო საალწერო უბნების საკონტროლო შემოვლა

## საკონტროლო შემოვლა ბათუმში

(ბათუმი, საქ. კორ.)

ბათუმის ოთხსავე საალწერო განყოფილებაში მთავრობის მიერ დადგენილ ვადებში დამთავრდა მოსახლეობის აღწერა. 23 იანვარს ღამის 12 საათზე საალწერო განყოფილებებს უკვე შეჯამებული ჰქონდათ აღწერის წინასწარი შედეგები.

24 იანვარს დილის 8 საათზე ინსტრუქტორ - კონტროლიორები უკლებლივ გამოცხადდნენ ადგილებზე და შეუდგნენ ყველა უბნების საკონტროლო შემოვლას.

ინსტრუქტორ - კონტროლიორები საბოლოოდ აზუსტებენ საალწერო ფურცლებს, რომლებიც აღმწერლებმა შეავსეს.

საკონტროლო შემოვლამ ნათელჰყო, რომ აღმწერლებს კარგად უმუშავნიათ. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევიან აღმწერლები: სტამბოლიშვილი, შარაშიძე, სამსონია, აფხაზავა და სხვ.

## აღწერა დამთავრდა

მცხეთაში (თბილისის რაიონი) მოსახლეობის სრულიად - საკავშირო აღწერა დამთავრდა 23 იანვარს საღამოს 8 საათისათვის.

საუკეთესოდ იმუშავეს აღმწერლებმა ამხ. ნ. ხუციშვილმა, ლ. ხუბიეროვმა, ნ. გარსევანიშვილმა, მ. ლაშხაურმა და სხვ.

24 იანვარს დილის სრულ 8 საათზე ინსტრუქტორ - კონტროლიორმა ამხ. თ. მალაზონიამ აღმწერ ლ. ხუბიეროვთან ერთად დაიწყო საკონტროლო შემოვლა.

**დ. რთველიაშვილი**

## ხელისშემშლელი დასჯილია

(წულუკიძე, საქ. კორ.)

22 იანვარს გუბის და ხიდის სასოფლო საბჭოების აღმწერლებმა ქ. შავლაკაძემ, ბ. ჩიხლაძემ და ა. ჩაგუნავამ თავიანთ საალწერო უბნებში სანიმუშოდ დაამთავრეს მოსახლეობის აღწერა.

აღწერის პირველ ორ დღეს შემჩნეული შეცდომები დაუყოვნებლივ გამოსწორდა. ახლა თითქმის ყველა აღმწერი უშეცდომოდ მუშაობს.

ხიდის სასოფლო საბჭოში პარტკანდიდატმა ვ. ჩიხლაძემ, რომელიც აღწერის დამხმარე კომისიის წევრად იყო გამოყოფილი, უარი განაცხადა აღმწერისათვის დახმარების გაწევაზე. ეს საკითხი ხიდის სასოფლო საბჭოსთან არსებულმა პარტორგანიზაციამ იმავე დღეს განიხილა და ვ. ჩიხლაძე გარიცხა პარტიის რიგებიდან. ეს დადგენილება უკვე დაამტკიცა საქ. კ. პ. (ბ) წულუკიძის რაიონულმა კომიტეტმა.

**ლ. ტაბიძე**



[illegible]

## საკონტროლო ჩამოვლა

მოსახლეობის აღწერა მთავრდება. ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ არ გამოგვრჩეს არცერთი კაცი.

აღწერის მუშაკთა დიდი უმრავლესობა მუშაობას ატარებს მთავრობის მიერ დამტკიცებული ინსტრუქციის სრული შესაბამისობით.

მაგრამ ცალკეულ აღმწერებს აღმოაჩნდათ სერიოზული ნაკლოვანებანი. ცალკეულმა აღმწერებმა შეუწყნარებელი აჩქარება გამოიჩინეს, რის შედეგადაც მოსახლეობის ზოგიერთი ჯგუფი, განსაკუთრებით დროებით მცხოვრებნი და დროებით წასულნი, შეიძლება სავსებით გამორჩენილი იყოს აღწერიდან. ყველა შემთხვევაში დამაკმაყოფილებლად როდი ხდებოდა საალწერო ფურცლების შევსება.

ყველა ასეთი ნაკლი, რაც გამოვლინებული და გამოსწორებული არ არის აღწერის პროცესში უნდა გამოსწოროს კონტროლიორ - ინსტრუქტორმა საკონტროლო ჩამოვლის დროს.

საკონტროლო ჩამოვლა იწარმოებს 10 დღის განმავლობაში: ქალაქებში 24 იანრიდან 2 თებერვლამდე, ხოლო სასოფლო ადგილებში— 27 იანვრიდან 5 თებერვლამდე. საკონტროლო ჩამოვლის დროს კონტროლიორ - ინსტრუქტორს თან ახლავს სათანადო საალწერო უბნის აღმწერი.

ამას გარდა სოფელ ადგილას, საკონტროლო ჩამოვლაში მონაწილეობას იღებენ სასოფლო საბჭოს რწმუნებულები.

კონტროლიორ - ინსტრუქტორი ვალდებულია პირადად მოელაპარაკოს თვითეულ ოჯახს, თვითეულ მარტოხელ ადამიანს და გამოარკვიოს ხომ არ არის გამორჩენილი ვინმე დროებით მცხოვრები ან დროებით წასული, აქვს თუ არა ყველა ჩამოსულს ცნობა აღწერის გავლის შესახებ.

საკონტროლო ჩამოვლის დროს კონტროლიორ-ინსტრუქტორი ვალდებულია გადასჭრას ყველა გაუგებრობა და ის საკითხები, რომლებიც საალწერო ფურცლების გასინჯვის დროს წამოიჭრება მის წინაშე და რომლებიც არ ყოფილა გამორკვეული თვით აღწერის მომენტში.

საკონტროლო ჩამოვლა — მოსახლეობის აღწერის დასკვნითი ეტაპია, რის შედეგადაც არ უნდა დარჩეს არცერთი აღუწერელი ადამიანი, არცერთი არასწორი ჩანაწერი საალწერო ფურცლებში ან საკონტროლო ბლანკებში.

იმ მოქალაქეებმა, რომლებიც რაიმე მიზეზების გამო არ მოხვდნენ აღწერაში, საკონტროლო ჩამოვლის დღეები უნდა გამოიყენონ იმისათვის, რომ თავიანთი მოქალაქეობრივი მოვალეობა მოიხადონ და გაიარონ აღწერა.

**დ. ბოზინი**
მოსახლეობის სრულიად - საკავშირო აღწერის ბიუროს უფროსი.

## ჩვენ გვწერენ

### როდის სთარგმნიან რომანს „ქარიშხლით შობილნი“

ორ წელზე მეტია, რაც გარდაიცვალა ორდენოსანი მწერალი ნიკოლოზ ოსტროვსკი. საბჭოთა ახალგაზრდობას მან დაუტოვა მაღალმხატვრული ნაწარმოები — „როგორ იწრთობოდა ფოლადი“, რომელიც დიდი პოპულარობით სარგებლობს ჩვენს ქვეყანაში. ოსტროვსკის კალამს ეკუთვნის მეორე შესანიშნავი ნაწარმოებიც „ქარიშხლით შობილნი“, რომელიც უკრაინულ და რუსულ ენებზე მრავალი ათეული ათასი ტირაჟით გამოვიდა. ქართულ ენაზე კი ეს ნაწარმოები არავის უთარგმნია.

დროა სახელგამმა იზრუნოს მის გამოცემაზე.

**გ. შარიქაძე**

## მივხედოთ ე. ნინოშვილის საფლავს

როგორც ცნობილია, სოფ. ჩანჩეთში (ნიგვზიანის სოფლსაბჭო) დასაფლავებულია ცნობილი მწერალი და პუბლიცისტი ევნატე ნინოშვილი. მისი საფლავი დაცული არ არის. იგი შემოღობილია უვარგისი მოაჯირით, — არავითარი წარწერა, არავითარი ძეგლი.

ჩანჩეთის მოსახლეობამ ლანჩხუთის რაიაღმასკომისა და საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წინაშე აღძრა ევ. ნინოშვილის საფლავის რესტავრაციის საკითხი. უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა კიდევაც გაიღო 10 ათასი მანეთი ამ საქმისათვის, მაგრამ რაიაღმასკომმა ეს თანხა გამოიყენა კლუბ-სამკითხველოს ასაგებად, ძეგლი კი ახლაც დაუდგმელია.

საქ. მწერალთა კავშირმა უნდა მიაქციოს ყურადღება ამ მდგომარეობას.

**გ. მოისწრაფიშვილი**

## თათბირი მუშსოფკორთა შორის მუშაობის საკითხებზე

გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციისა და საქ. კ. პ. (ბ) ხაშურის რაიკომის ინიციატივით ამ დღეებში მოწვეული მუშსოფლკორთა რაიონული თათბირი წარმატებით ჩატარდა.

თათბირზე „საქ. კ. პ (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ გამოშვებასთან დაკავშირებით პარტიული პროპაგანდის დაყენების შესახებ“ საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 14 ნოემბრის დადგენილების შესაბამისად ძირეული პრესის მუშაობის გარდაქმნის საკითხებზე მოხსენებით გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) ხაშურის რაიკომის მდივანი ამხ. ი. გიგიტაშვილი.

მოსმენილ იქნა აგრეთვე რაიონულ გაზეთ „ბოლშევიკური სიტყვის“ რედაქტორის ამხ. ნ. ნოზაძის და ხაშურის რაიკოოპკავშირის პარტიული და პროფესიული ორგანიზაციების კედლის გაზეთ „კოოპერაციის მუშაკის“ რედაქტორის ამხ. ფერაძის მოხსენებები მუშსოფლკორებთან მუშაობის შესახებ.

მოხსენებათა გამო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო 10 კაცმა.

მოხსენებებმა და მათ გარშემო გამართულმა კამათმა გვიჩვენა, რომ რაიონულ გაზეთ „ბოლშევიკური სიტყვის“ რედაქციამ და ხაშურის რაიკოოპკავშირის კედლის გაზეთ „კოოპერაციის მუშაკის“ სარედაქციო კოლეგიამ მუშსოფლკორთა შორის მუშაობაში ერთგვარ წარმატებებს მიაღწიეს.

მიუხედავად ამისა, გაზეთ „ბოლშევიკური სიტყვის“ მუშაობაში ადგილი აქვს ნაკლოვანებებსაც; რედაქცია სუსტად მუშაობს მუშსოფლკორთა შორის, გაზეთში არ თავსდება გამოხმაურებები, პრესის მიმოხილვა; რაიონული გაზეთის რედაქცია ყურადღებას არ აქცევს საკოლმეურნეო და ბრიგადული კედლის გაზეთების რედაქტორთა დაუსწრებელ სწავლებას და სხვ.

თათბირზე აღინიშნა ისიც, რომ რედაქციისაგან გაგზავნილ მუშსოფლკორთა შენიშვნებს და კორესპონდენციებს „საქვაჭრობის“ ხაშურის განყოფილება, რაიკავშირი და მიწგანი უსულგულოდ ეკიდებიან და დროულად არ ეხმაურებიან.

მუშსოფლკორთა შორის მუშაობის უკეთ დაყენებისა და არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის თათბირზე დასახულ იქნა ღონისძიებანი.

**უკანასკნელი ფოსტა**

## უსაფუძვლოდ გასწერეს

ფოთის საქალაქო გაზეთის „მგზნებარე კოლხიდელის“ ზოგიერთი მუშაკი ზერელედ ეკიდება ფრენების, გამცდენებისა და წამგლეჯების მხილებას. გაზეთი ზოგჯერ აქვეყნებს შეუმოწმებელ ფაქტებს, რის შედეგადაც პატიოსანი მუშაკები ხვდებიან ცრუთა და არამზადათა რიცხვში.

მაგალითად, გაიგეს რა, რომ გემთშემკეთებელ ქარხანასთან არსებული საქარხნო-საფაბრიკო სკოლის ხელმძღვანელი ამხ. ვ. გვაძაბია 11 იანვარს სამუშაოზე არ გამოცხადდა, თავისი 15 იანვრის ნომერში ის გასწერეს, როგორც გამცდენი და მოითხოვეს მისი სამუშაოდან მოხსნა. ნამდვილად ამხ. გვაძაბია 30 დეკემბრიდან მორიგ შვებულებაშია წასული. ამხ. გვაძაბია ენერგიული მუშაკია და მას არა აქვს სამუშაო საათების არცერთი გაცდენა.

გაზ. „მგზნებარე კოლხიდელის“ მუშაობაში არის სხვა მსგავსი შემთხვევებიც. შეუმოწმებელი მასალის ბეჭდვა არ არის ბოლშევიკური გაზეთის მუშაობის სტილი. ეს კარგად უნდა იცოდეს გაზეთის ყველა მუშაკმა.

# საფრანგეთის დეპუტატთა პალატაში

## კამათი საგარეო პოლიტიკის საკითხებზე

[illegible]

...პუტატმა პიერ კოტმა. მან განაცხადა, რომ საფრანგეთის უშიშროების პირობას წარმოადგენს ხმელთაშუა ზღვის თავისუფლება და რომ ახლა ესპანეთში სწყდება საფრანგეთის მომავალი ბედის საკითხი. ესპანეთის ხალხი, რომელსაც შეუძლია ბრძოლა და რომელიც ქედს არ იხრის მტრის წინაშე,—ამბობს კოტი, — არსებითად იცავს საფრანგეთის საზღვაო გზებს. გერმანიას სურს თავის მოწინააღმდეგეებს სათითაოდ შეუტიოს. გერმანია დასაყრდენ პუნქტებს ეძებს საზღვაო გზებზე.

პიერ კოტი უერთდება დეპუტატ პეზეს განცხადებას, რომელმაც მოუწოდა დადასტურებულ იქნას, რომ ჩაურევლობის პოლიტიკა არ არსებობს. ფაშისტურ გერმანიას, აღნიშნავს შემდეგ პიერ კოტი აღებული აქვს გეზი ელვისებური ომისაკენ, ვინაიდან ხანგრძლივი ომი მისთვის საბედისწერო იქნებოდა. გერმანიისათვის მოქმედების თავისუფლების მინიჭება ცენტრალურ ევროპაში საფრანგეთისათვის მონობას მოასწავებს.

პიერ კოტი მიუთითებს გერმანიის ეკონომიურ სისუსტეზე. ხვალ რომ ...რეობამ იგი დაარწმუნა, რომ ჰებელსის პროპაგანდა უფრო ფართოა, ვიდრე მას წინათ ეგონა.

პიერ კოტის ეს შენიშვნა ინციდენტს იწვევს, რეაქციონერი დეპუტატი ანრიო მოითხოვს განმარტებას, თუ ვინ ჰყავს მხედველობაში კოტს. პიერ კოტი აღნიშნავს, რომ მან სავსებით ნათლად გამოსთქვა თავისი აზრი.

თავმჯდომარე სწყვეტს პალატის სხდომას. 25 წუთის შესვენების შემდეგ სხდომა კვლავ განახლდა.

სიტყვა კვლავ ეძლევა პიერ კოტს. განაგრძობს რა თავის სიტყვას, პიერ კოტი აღნიშნავს, რომ გერმანიის პროპაგანდის თავხედური გალაშქრება მთელს მსოფლიოში იწვევს ერთსულოვან საპროტესტო მოძრაობას. კერძოდ, პიერ კოტი აღნიშნავს, რომ გერმანიაში ანტისემიტიზმმა აღშფოთების ტალღა გამოიწვია ამერიკის შეერთებულ შტატებში. საფრანგეთის მთავრობა უნდა შეერთებოდა აღშფოთების ამ გრძნობას. საჭიროა, რომ საფრანგეთის მთავრობა მთელი მსოფლიოს მშვიდობიანობისა და თავისუფლების უზრუნველყოფას ყველა ხალხისათვის.

პიერ კოტის შემდეგ გამოდის დეპუტატი ჟაკინო, რომელიც ფლანდენის ჯგუფს ეკუთვნის. ჟაკინო მწუხარებას გამოსთქვამს, რომ საფრანგეთის მთავრობამ, ნაცვლად იმისა, რომ რუზველტის გამოსვლებს შეერთებოდა, საფრანგეთ-გერმანიის დეკლარაცია გამოაქვეყნა. ორატორი აცხადებს, საჭიროა ხელი შეეშალოს იმას, რომ იტალიელებმა ფეხი მოიკიდონ ესპანეთში.

შემდეგ გამოდის კომუნისტი დეპუტატი შარლ მიშელსი. თავის სიტყვაში ის ეხება ტუნისს. ორატორი მოითხოვს, რათა ბოლო მოეღოს იმ ძირგამომთხრელ მუშაობასა და პროპაგანდას, რასაც იტალია ეწევა ტუნისში. მიშელსი ჩამოსთვლის ტუნისის პრესის იმ ორგანოებს, რომლებიც იტალიის პროპაგანდას ემსახურებიან. ორატორი იმ აზრს გამოსთქვამს, რომ უნდა გაიხსნას საფრანგეთის საზღვარი, რომელიც მას რესპუბლიკურ ესპანეთთან აერთიანებს.



თბილისი. ლ. კეცხოველის სახელობის პარტიული პროპაგანდის სახლი.
(საქდესის ფოტოქრონიკა)

# ლენინის დღეები თბილისში

[illegible]

...რჯვებს.

ასეთი და ამდაგვარი ლოზუნგებით იყო მორთული მთელი თბილისი, ყოველი საწარმო, ყოველი დაწესებულება. დიდი ლენინისა და ლენინიზმის უკვდავ იდეათა ცხოველმყოფელობით იყო და მუდამაც არის გამსჭვალული ყოველი მშრომელის, ყოველი პატიოსანი მოქალაქის გული.

ლენინის დღეები თბილისის მშრომელებმა აღნიშნეს სამგლოვიარო ...

...აზერბაიჯანელ მშრომელ ქალთა კლუბში, უმაღლეს და საშუალო სასწავლებლებში, პლეხანოვის, საზოგადოებრივი კვების, პიონერების კლუბებში, წითელი არმიის სახლში და სხვ. მშრომელებმა მოისმინეს მოხსენებები ლენინის მოღვაწეობისა და შემოქმედების შესახებ. მოხსენებების შემდეგ გაიმართა კონცერტები და კინო-ფილმების დემონსტრაცია.

## გამოფენა სახელმწიფო უნივერსიტეტში

21 იანვარს თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიხსნა ვ. ი. ლენინის ხსოვნისადმი მიძღვნილი გამოფენა.

გამოფენის პირველ განყოფილებაში ნაჩვენებია, თუ როგორ ემზადებოდა ვ. ი. ლენინი საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ასპარეზზე გამოსასვლელად, როგორ აყალიბებდა იგი საკუთარ შეხედულებებს ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს. აქ წარმოდგენილი ექსპონატები ნათლად ასახავენ ვ. ი. ლენინის რევოლუციური მოღვაწეობის ადრინდელ ხანას.

აქვე გამოფენილია ვ. ი. ლენინის ძირითადი შრომები, დაწერილი როგორც არალეგალობის პერიოდში, ისე ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ. ძველი არალეგალური გაზეთების „ისკრის", „პრავდის", „პროლეტარის" და სხვ. ნომრები, სადაც დაბეჭდილია ვ. ი. ლენინის სტატიები.

გამოფენას ამშვენებს აგრეთვე ამხანაგ სტალინის, ვოროშილოვის, ორჯონიკიძის, კრუპსკაიას, გორკის, ლ. ბერიას და სხვ. ძვირფასი შრომები, რომლებიც ახალ შუქს ჰფენენ ვ. ი. ლენინის რევოლუციურ მოღვაწეობას.

## საქფილეგთში

21 იანვარს საესტრადო თეატრის დარბაზში შესდგა ვ. ი. ლენინის ხსოვნისადმი მიძღვნილი საზეიმო-სამგლოვიარო სხდომა, რომელზედაც ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ამხ. თოფურია. მოხსენების შემდეგ შესდგა დიდი საღამო-კონცერტი. კონცერტში მონაწილეობა მიიღეს ს. კავსაძის, ა. ფოცხვერაშვილის და მ. თარხნიშვილის ხელმძღვანელობით არსებულმა სახელმწიფო ეთნოგრაფიულმა გუნდებმა.

## მწერალთა კავშირში

22 იანვარს მწერალთა კლუბში შესდგა საქ. საბჭოთა მწერლების საზეიმო-სამგლოვიარო კრება, რომელიც გახსნა ამხ. ა. მაშაშვილმა. მოხსენება — „ლენინი ქართულ ხელოვნებაში" გააკეთა დ. ბენაშვილმა. მოხსენების შემდეგ სიტყვით გამოვიდა დრამატურგი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ამხ. შ. დადიანი. ლექსები წაიკითხეს პოეტებმა: გ. ქუჩიშვილმა, კ. ბობოხიძემ და მ. ბარათაშვილმა. ლენინისადმი მიძღვნილი სომხურიდან რუსულად ნათარგმნი ხალხური ლექსები წაიკითხა ეკ. ქალანტარმა.

## ექსკურსიები

⊙ **5.000 ექსკურსანტმა** დაათვალიერა ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალში გამართული ლენინის გამოფენა. ამ დღეების განმავლობაში გამოფენაზე იყო 133 საექსკურსიო ჯგუფი. მრავლად იყვნენ ინდივიდუალური დამთვალიერებლებიც.

⊙ **ავლაბრის ყოფ. არალეგალურმა სტამბამ** დიდძალი მნახველები მიიზიდა ლენინის დღეების განმავლობაში. სტამბის დასათვალიერებლად ჩამოსული იყვნენ მუშათა საექსკურსიო ჯგუფები რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხეებიდან. ლენინის დღეებში აღნიშნული სტამბა დაათვალიერა 2200-მდე მშრომელმა.



დუდერგოფში (ლენინგრადის ახლოს) 12 იანვარს გაიხსნა სათხილამურო სეზონი, ამავე დღეს გაიმართა შეჯიბრება. სურათზე — ე. ს. ბოგდანოვი, რომელმაც პირველი ადგილი დაიკავა მე-2 ჯგუფში.
საქდესის ფოტოქრონიკა

## სასპორტო დარბაზებში

● **28 იანვარს** ლენინის სახელობის სასპორტო დარბაზში შესდგა კალათბურთელთა გუნდების საქალაქთაშორისო შეჯიბრება. თამაშობდნენ სომხეთის 1938 წლის ფალავანი, ქ. ერევნის საზოგადოება „მშენებლის" გუნდი და თბილისის „დინამოს" გუნდი (ოსტატები). შეჯიბრება საინტერესოდ ჩატარდა. მატჩი თბილისელების გამარჯვებით დამთავრდა ანგარიშით 31 : 27.

● **იმავე დღეს,** იქვე მიმდინარეობდა ფრენბურთელ ქალ-ვაჟთა გუნდების შეჯიბრება თბილისის პირველობაზე. ჩატარებული შეჯიბრებიდან საინტერესო იყო „ელვას" შეხვედრა „მშენებელთა" გუნდთან და „დინამოსა" და „ლოკომოტივის" ფრენბურთელების მატჩი. შეჯიბრება „ელვას" და „დინამოს" გუნდების გამარჯვებით დამთავრდა. შეჯიბრება მიმდინარეობს.

● **22 იანვარს,** რკინიგზელ ტანმოვარჯიშეთა საკავშირო შეკრებაში მონაწილეობის მისაღებად, მოსკოვს გაემგზავრა თბილისის რკინიგზის ინჟინერთა ინსტიტუტის ტანმოვარჯიშეთა გუნდი 12 კაცის შემადგენლობით. გუნდი მოსკოვში დარჩება თებერვლის შუა რიცხვებამდე.

● **საჭადრაკო კლუბში** 22 და 23 იანვარს მიმდინარეობდა მოჭადრაკეთა შეჯიბრება საქართველოს პირველობაზე. იქვე მიმდინარეობდა მოჭადრაკეთა ტურნირი თბილისის გუნდურ პირველობაზე. შეჯიბრება მიმდინარეობს.

აქვე მიმდინარეობდა მესამე კატეგორიის მოჭადრაკეთა საკვალიფიკაციო ტურნირი.

## დღეს კინოებში

**ოქტომბერი** — საზღვარი დაკეტილია.
**დამკვრელი** — პატარა დედა.
**კომკავშირელი** — განძთა კუნძული.
**ლუქსემბურგი** — ქარიყლაპიას ბრძანებით.
**სპარტაკი** — საზღვარზე.
**26 კომუნარის სახ.** — პატიოსნება.

## ლ. კეცხოველის სახელობის პარტპროპაგანდის სახლი

**25 იანვარს,** ორჯონიკიძის სახელობის რაიკომის პარტკაბინეტში (ლენინის ქ. № 11) აწყობს ამხ. გულანიანის ლექციას თემაზე: ლენინის მოძღვრება იმპერიალიზმის პირობებში კაპიტალიზმის ეკონომიური და პოლიტიკური განვითარების უთანაბრობის შესახებ. რუსულ ენაზე. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

**25 იანვარს,** 26 კომუნარის სახელობის რაიკომის პარტკაბინეტში (შაუმიანის ქუჩა) აწყობს ამხ. იმედაძის ლექციას თემაზე: მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრება შეიარაღებული აჯანყების შესახებ. ქართულ ენაზე. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ლ. კეცხოველის სახელობის პარტპროპაგანდის სახლში ყოველდღიურად ტარდება კონსულტაცია მარქსიზმ-ლენინიზმის, საერთაშორისო და სხვა პოლიტიკურ საკითხებზე პროპაგანდისტებისათვის, მომხსენებლებისათვის, აგიტატორებისა და იმ ამხანაგებისათვის, რომლებიც შეუდგნენ „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" დამოუკიდებლად შესწავლას.

კონსულტაცია ტარდება დღის 10-დან 4 საათამდე და საღამოს 8-დან 11 საათამდე, ქართულ და რუსულ ენებზე.

კონსულტანტთა ტელეფონები:
3—18—46 და 3—61—68.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

# გორი-სტალინირის რკინიგზა

დაიწყო მზადება გორი-სტალინირის რკინიგზის მშენებლობისათვის. ამ რკინიგზის გაყვანის შემდეგ სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრი — სტალინირი რკინიგზის მაგისტრალით დაუკავშირდება საქართველოს დედაქალაქს. გზას ექნება 35 კილომეტრი სიგრძე. (საქდესი).

# მაესტროთა საჭადრაკო ტურნირი

23 იანვარს, მოსკოვის ხელოვნების მუშაკთა სახლში გათამაშდა დარჩენილი დაუმთავრებელი პარტიები. გროსმეისტერმა ფლორმა მოუგო კანსა და გროსმეისტერ ლევენფიშს. კარგ შედეგს მიაღწია აგრეთვე გროსმეისტერმა ლილიენტალმა, რომელმაც მოუგო კანს, ბონდარევსკის და ყაიმით დაასრულა რომანოვსკისთან და კერესთან. რაგოზინმა წააგო კანთან და რაბინოვიჩმა ლევენფიშთან. სმისლოვ-რომანოვსკის, ლევენფიშ-რომანოვსკის და ალატორცევ-პანოვის პარტიები ყაიმით დასრულდა.

რიშევსკის ავადმყოფობის გამო მას დარჩა დაუმთავრებელი ხუთი გადადებული პარტია.

12 ტურის შემდეგ წინ არიან: ლილიენტალი +7. ფლორი +6½ (2 გად.), მაკაგონოვი +6½ (1 გად.), რაბინოვიჩი, კანი, ბელავენეცი და რაგოზინი +6½, სმისლოვი +6 (2 გად.).

მეცამეტე ტურში, რომელიც გუშინ შესდგა საღამოს 11 საათისათვის არცერთი პარტია არ დამთავრებულა.

დღეს, 25 იანვარს, მეთოთხმეტე ტურში ითამაშებენ: კანი-რაბინოვიჩი, ბონდარევსკი-კერესი, სმისლოვი-ფლორი, კონსტანტინოპოლსკი - ლილიენტალი, ალატორცევი-ლევენფიში, მაკაგონოვი-რომანოვსკი, ბელავენეცი-ტოლუში, რაგოზინი-რიშევსკი და პანოვი-გოგლიძე.

# ექსკურსანტები გეგეჭკორიდან

ამ დღეებში გორსა და თბილისში ექსკურსიად ჩამოვიდნენ გეგეჭკორის რაიონის მოწინავე ადამიანები 14 კაცის შემადგენლობით. ჩამოსულთა შორის იყვნენ კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები, სტახანოველი კოლმეურნეები, „აბჰესის" მუშები და სხვ.

ექსკურსანტებმა გორში დაათვალიერეს სახლი, სადაც დაიბადა ხალხთა საყვარელი ბელადი დიდი **სტალინი.**

თბილისში დაათვალიერეს ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალი, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, ავლაბრის რესტავრირებული სტამბა, მთავრობის სახლი და ზოოპარკი.

ექსკურსიის მონაწილეებზე უდიდესი შთაბეჭდილება დასტოვა ზემოდასახელებული ობიექტების დათვალიერებამ, განსაკუთრებით კი დიდი **სტალინის** სახლის დათვალიერებამ გორში და ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალის ნახვამ. თბილისიდან ექსკურსანტები კმაყოფილნი გაემგზავრნენ გეგეჭკორში.

**ან. ხურცილავა**



გეგეჭკორის რაიონიდან თბილისში საექსკურსიოდ ჩამოსული მოწინავე ადამიანები (პირველ რიგში): მ. ჯახაია, ა. ერკვარია, ა. კვესელავა, პ. კეკელია, მ. დანელია (მეორე რიგში), ვ. ვართანია, ვ. ციგვავა, ლ. გელავა, ა. დანელია (მესამე რიგში), ა. ქიქავა, გ. აფრიდონიძე, ე. ბასილია. (საქდესის ფოტოქრონიკა)

# კატალონიის მთავრობის განკარგულება

**ბარსელონა,** 23 იანვარი (საქდესი). კატალონიის მთავრობის სახალხო მეურნეობის საქმეთა მრჩეველმა კომიტერმა გამოაქვეყნა განკარგულება, რომლის თანახმადაც უახლოესი კვირის განმავლობაში სწყდება ვაჭრობა და იხურება ქარხნები და ფაბრიკები იმ მიზნით, რომ 18 წლიდან 55 წლამდე ასაკის ყველა მამაკაცმა სავალდებულო წესით და 18 წლიდან 40 წლამდე ასაკის ქალებმა (ნებაყოფლობითი წესით) მონაწილეობა მიიღონ საფორტიფიკაციო სამუშაოებში. ეს განკარგულება არ ეხება სამხედრო მრეწველობას, სასურსათო მაღაზიებსა და კვების მრეწველობას, აფთიაქებს, რესტორანებს, პრესას და იმ საქალაქო საწარმოებს, რომლებიც მომსახურებას უწევენ მოსახლეობას.

## უკანასკნელი ცნობები

## ესპანეთის მთავრობის სხდომა

**პარიზი,** 23 იანვარი (საქდესი). ჰავასის სააგენტო ბარსელონიდან იუწყება, რომ 22 იანვარს, ღამით, იქ შესდგა რესპუბლიკური ესპანეთის მინისტრთა საბჭოს სხდომა. სხდომის დასასრულს გამოქვეყნებულ იქნა ოფიციალური ცნობა, სადაც ნათქვამია, რომ მინისტრთა საბჭომ დაადგინა აცნობოს ყველა მოქალაქეს თავისი გადაწყვეტილება დარჩეს ბარსელონაში. რამდენიმე ხნის წინათ, ნათქვამია ცნობაში, მიღებული იყო საჭირო ღონისძიებანი სახელმწიფო ორგანოებისა და მთავრობის შეუფერხებელი მუშაობის უზრუნველსაყოფად და მათ დასაცავად საჰაერო იერიშებისაგან, რასაც ამჟამად ხშირად განიცდის ბარსელონა. მინისტრთა საბჭომ განიხილა ინტერვენტთა და მეამბოხეთა ჯარის შეტევის შედეგად შექმნილი მდგომარეობა. გადაწყვეტილია დაინიშნოს კომისია შრომის მინისტრის, კატალონიის მთავრობის მრჩევლისა და ბარსელონის მერის შემადგენლობით, რათა უხელმძღვანელოს სამოქალაქო მოსახლეობის ევაკუაციას, რაც აუცილებელია საფორტიფიკაციო სამუშაოთა განხორციელებასთან დაკავშირებით.

მთავრობამ გამოიტანა აგრეთვე გადაწყვეტილება სამხედრო წესები გამოაცხადოს რესპუბლიკის მთელს ტერიტორიაზე.

## ესპანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ბონესთან

**პარიზი,** 23 იანვარი (საქდესი). ჰავასის სააგენტო იუწყება, რომ საგარეო საქმეთა მინისტრმა ბონემ მიიღო გუშინ ესპანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ალვარეს დელ ვაიო და ესპანეთის პარიზელი ელჩი მარსელინო პასკუა. სააგენტოს სიტყვით საუბარი ეხებოდა იმ მდგომარეობას, რომელიც შეიქმნა ესპანეთში ინტერვენტებისა და მეამბოხეების შეტევასთან დაკავშირებით.

მთავრობის მეთაურმა დალადიემ მიიღო ბონე, რომელმაც გააცნო მას ესპანეთის უკანასკნელი ამბები.

## გენერალ მიახას განცხადება

**პარიზი,** 23 იანვარი (საქდესი). ვალენსიის რადიოსადგურმა გუშინ გადმოსცა გენერალ მიახას მოკლე სიტყვა; მიაჰა იუწყება სამხედრო წესების შემოღების შესახებ მთელი რესპუბლიკის ტერიტორიაზე. რესპუბლიკური ესპანეთის ცენტრალურ ზონაში მთელი ძალაუფლება გადადის გენერალ მიახას ხელში, რომელიც რესპუბლიკის მთავრობის უშუალო წარმომადგენელია ამ ზონაში.

# ნეგრინის მოწოდება

**პარიზი,** 21 იანვარი (საქდესი). ესპანის სააგენტო იუწყება, რომ ესპანეთის მთავრობის მეთაურმა ნეგრინმა შემდეგი მოწოდებით მიმართა მოსახლეობას:

„ძნელი პირობები, რომლებსაც ჩვენ ამჟამად განვიცდით და რომლებმაც გამოიწვიეს საყოველთაო მობილიზაცია, ავალებენ მთავრობას მიიღოს ახალი ღონისძიებანი საფორტიფიკაციო სამუშაოთა გასაძლიერებლად.

ყველა მოქალაქე აქტიურ მონაწილეობას უნდა იღებდეს ჩვენი ქვეყნის დაცვისათვის წარმოებულ მუშაობაში. ეს სამუშაოები რომ უფრო ეფექტიური გახდეს, შემოღებულია სავალდებულო შრომა შრომისათვის გამოსადეგი ყველა მამაკაცისათვის 18-დან 50 წლის ასაკამდე, რომლებიც სამხედრო ფუნქციებს არ ასრულებენ. თვითეული მოქალაქე, რომელიც ზურგში იმყოფება, ყოველდღე უნდა გაემგზავროს საფორტიფიკაციო სამუშაოთა ადგილზე, სადაც მას მიეცემა სათანადო ინსტრუმენტები".

## ჩან კაი-შის ახალი დანიშვნა

**ჩუნცინი,** 21 იანვარი (საქდესი). გომინდანის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით ჩან კაი-ში დამტკიცებულია ჩინეთის ნაციონალურ-პოლიტიკური საბჭოს თავმჯდომარედ.

## კომპანისის მიმართვა

**პარიზი,** 21 იანვარი (საქდესი). როგორც ჰავასის სააგენტო ბარსელონიდან იუწყება, კატალონიის მთავრობის მეთაურმა კომპანისმა რადიოთი მიმართა კატალონელ ხალხს და მოუწოდა — მოიკრიბოს მთელი ძალღონე, რათა უკუაგდოს მტერი. თავის მიმართვაში კომპანისი აღნიშნავს იმ მჭიდრო კავშირს, რომელიც აერთიანებს კატალონიას დანარჩენ ესპანეთთან, და ხაზგასმით ამბობს, რომ საჭიროა დაემორჩილონ ცენტრალურ მთავრობის დირექტივებს.

# ალექსანდრე სერგეის-ძე დარგომიჟსკი

## (გარდაცვალების 70 წლისთავისათვის)

რუსული მუსიკის კლასიკურ მემკვიდრეობაში ერთერთი პირველი ადგილი ეკუთ... [illegible]



[illegible]

**ა. ხუხუნაშვილი**


თბილისის ზ. პ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახ. თეატრი 1938-39 წ. სეზონი

| | |
|---|---|
| 26/I | მუდმ. ადგ. ტალ. № 81 აბ. სერ. № 1 **მალთაყვა** |
| 27/I | მუდმ. ადგ. ტალ. № 82 აბ. სერ. № 3 **აიდა** |
| 28/I | მუდმ. ადგ. ტალ. № 83 **დაისი** |

დასაწყისი საღამოს 8 საათზე

მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრი

| | |
|---|---|
| 26/I | **კოლმეურნის ქორწინება** |
| 27/I | **ურიელ აკოსტა** |
| 28/I | **კოლმეურნის ქორწინება** |

სალარო ღიაა დილის 12 საათიდან საღამოს 9 საათამდე
დასაწყისი საღამოს 8 ს.

რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი 1938-39 წ. სეზონი

| | |
|---|---|
| 26/I | ღია წარმოდგენა **თოფიანი კაცი** მუდმივი ადგილები ძალაში არ არის |
| 27/I | წარმოდგენა 103 **უდანაშაულოდ დამნაშავენი** |
| 28/I | წარმოდგენა 104 **თოფიანი კაცი** |

სალარო ღიაა დილის 12 საათიდან საღამოს 9 საათამდე
დასაწყისი საღამოს 8 ს.

რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო **თეატრი**
1938-39 წლის სეზონი.

26 იანვარს ღია წარმოდგენა
ნ. პოგოდინის
**თოფიანი კაცი**
დრამა 4 მოქმედებად და 13 სურათად.
თარგმანი ი. გრიშაშვილისა და მარიჯანის.
დადგმა აკ. ხორავასი—სსრკ სახ. არტისტი, ორდენოსანი.
მხატვარი ირ. გამრეკელი — ხელ. დამს. მოღვაწე, ორდენოსანი.
მუსიკა ი. ტუსკიასი—ხელ. დამს. მოღვაწე, ორდენოსანი.
მუდმივი ადგილები ძალაში არ არის.
სალარო ღიაა დღის 12 საათიდან საღამოს 9 საათამდე.
დასაწყისი 8 საათზე. 34


## საქართველოს სარეწაო სატყეო კავშირის სისტემაში შემავალ არტელ „კოოპლესტროის" დასკვნითი ბალანსი 1938 წლის 1 იანვრისათვის

| № № რიგ. | აქტივი: მუხლების დასახელება | ჯამი | № № რიგ. | პასივი: მუხლების დასახელება | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ძირითადი საშუალებანი | 122.536 | 1 | ფონდები | 141.986 |
| 2 | ხედლეული და მასალები | 188.768 | 2 | რეგულირებული მუხლები | 3.820 |
| 3 | წარმოება და გადამუშავება | 38.668 | 3 | გრძელვადიანი კრედიტები | 217.000 |
| 4 | პროდუქცია და საქონელი | 126.183 | 4 | ანგარიშსწორებანი | 231.869 |
| 5 | ფულადი საშუალებანი | 19.250 | 5 | დაგროვებანი | 111.485 |
| 6 | საშუალებანი ანგარიშსწორ. | 136.314 | | | |
| 7 | ხარჯები მომავალი ოპერაციების ან-შით | [illegible].289 | | | |
| 8 | განყენებული საშუალებანი | 61.068 | | | |
| 9 | ბალანსთა შორის ანგარიშსწორებანი | 11.084 | | | |
| | ბალანსი | 706.160 | | ბალანსი | 706.160 |

## მოგება-ზარალის ანგარიში

| | | |
|---|---|---|
| 1. | [illegible] | 26.3[illegible]7 |
| 2. | [illegible] | 15.686 |
| 3. | [illegible] | 100.393 |
| | ბალანსი | 142.406 |
| 1. | შემოსავალი რეალიზ. | 129.198 |
| 2. | სხვადასხვა შემოსავალი | 13.208 |
| | ბალანსი | 142.406 |

ბალანსი დამტკიცებულია საბალანსო კომისიის მიერ 1938 წლის 24 მარტს, ოქმი № 7.

[illegible] 1588